



The Project is funded
by the European Union

EUROEAST CULTURE

RMCB Unit

არაოფიციალური თარგმანი

აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის
რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფი
(RMCBU)

EuropeAid კონტრაქტი № 2010/255-219

კულტურის სფერო და კულტურის პოლიტიკა საქართველოში.
საბაზისო ანალიტიკური ანგარიში

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურის პოლიტიკის კვლევა და
დიაგნოსტიკა

ეს ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის
რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფის მიერ:

ბ-ნი ტერი სანდელი, RMCBU ექსპერტი

ქ-ნი მანანა თევზაძე, RMCBU ექსპერტი

ბ-ნი ლუჩიანო გლორი, RMCBU ჯგუფის ხელმძღვანელი

ქ-ნი ტეტიანა ბილევცკა, RMCBU ორგანიზაციული განვითარების ექსპერტი

2012 წლის აგვისტო
(გადასინჯული 2013 წლის იანვარში)

ეს ანგარიში მომზადდა ევროკავშირის დახმარებით. ამ ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია
მხოლოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის რეგიონალური მონიტორინგისა
და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფი. ის გამოხატავს მხოლოდ ანგარიშის დამწერი
ექსპერტების მოსაზრებებს და არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ევროკომისიის
მოსაზრებებს.

RMCBU პროექტი ხორციელდება კონსორციუმის მიერ Deutsche Gesellschaft für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH-ის ხელმძღვანელობით, HYDEA S.p.A. (იტალია) და RWTH Aachen
University (გერმანია)-თან პარტნიორობით.

სარჩევი

შემოკლებები.....3
 მადლობა.....4
 წინასიტყვაობა.....5
 1. კულტურული სიტუაციის მიმოხილვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში8
 2. კულტურისა და კულტურის განვითარების ზოგიერთი ძირითადი მახასიათებელი საქართველოში12
 3. კვლევითი მიმოხილვა.....15
 3.1. კონტექსტი / კლიმატი15
 3.1.1. საკანონმდებლო, საგადასახადო, სარეგისტრაციო და დასაქმების საკითხები რომლებსაც გავლენა აქვთ კულტურაზე. რამდენად უწყობს ეს საკითხები ხელს კულტურისა და შემოქმედების განვითარებას.....15
 3.1.2. გამჭვირვალებობა და კორუფცია17
 3.1.3. ოფიციალური და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფა და გავრცელება.....17
 3.1.4. კულტურის პოლიტიკის ინტეგრაცია სხვა პოლიტიკასა და სტრატეგიებში19
 3.1.5. რეალური ანგარიშგაღებულება და გახსნილობა20
 3.1.6. წვლილი კულტურის დარგში.....21
 3.1.7. დამოუკიდებელი და არასამთავრობო სექტორის როლი.....22
 3.1.8. კერძო და კომერციული სექტორების როლი23
 3.1.9. ეროვნული ჩვეულებრივი და ელექტრონული მედია და მიძღვნილი პუბლიკაციების ინტერესი კულტურის საკითხებისადმი23
 3.1.10. კულტურის, მისი მიწოდებისა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული განსხვავებები ქალაქში და სოფლად.....26
 3.1.11. ენობრივი საკითხები.....26
 3.2. შემოქმედება/პროდუქცია და შენარჩუნება/რესტავრაცია27
 3.2.1. შეფარდებითი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება თანამედროვე კულტურულ შემოქმედებას ეროვნულ კულტურის პოლიტიკასა და პრაქტიკაში (მაგ. დაფინანსება).....27
 3.2.2. იმ გარემოს აღწერა, სადაც სხვადასხვა სახის კულტურული თუ მხატვრული შემოქმედება/წარმოება ხდება.....27
 3.2.3. შემოქმედებითობა.....27
 3.2.4. მემკვიდრეობა.....28
 3.2.5. სარესტავრაციო რესურსები და შესაძლებლობები.....30
 3.2.6. UNESCO-ს კონვენცია კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების დაცვისა და პოპულარიზაციის შესახებ.....31
 3.3. კულტურის მიწოდება/ კვლევა / პროფესიული მომზადება და ცოდნის გადაცემა / გავრცელება / კავშირის შესაძლებლობა / დიგიტალიზაცია.....32
 3.3.1. ზოგადი გარემო.....32
 3.3.2. პროფესიული მომზადება33
 3.3.3. ინტერნეტის გამოყენება და კავშირის საშუალებანი.....33
 3.3.4. დიგიტალიზაციის (ციფრულ ფორმატში გადაყვანის) პროექტები.....34
 3.4. ხელმისაწვდომობა და განათლება.....34
 3.4.1. ხელმისაწვდომობა.....34
 3.4.2. განათლება35
 3.5. მონაწილეობა და აუდიტორიის მოზიდვა.....36
 3.5.2. აუდიტორიის მოზიდვა36
 4. RMCBU-ს კვლევითი ვიზიტის ძირითადი შედეგები.....38
 წყაროები.....41
 დანართი 1. ეროვნული დაინტერესებული მხარეების მიერ საქართველოს კულტურის დარგისა და კულტურული პოლიტიკის პრიორიტეტული საჭიროებების SWOT ანალიზი.....42
 დანართი 2. ისტორიული კონტექსტი – საქართველო ისტორიულ კონტექსტში43

შემოკლებები

საბაზისო ანგარიშები	ანალიტიკური საბაზისო ანგარიშები აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნის კულტურის დარგსა და კულტურის პოლიტიკაზე
CCI	კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები
CIS	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
EaP ქვეყნები	სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდავეთი, უკრაინა
EaP რეგიონი	სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდავეთი, უკრაინა
EC	ევროკომისია
ENPI	ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი
EU	ევროკავშირი
GEL	ლარი (ეროვნული ვალუტა)
MCMP	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
MoC	კულტურის (პასუხისმგებელი) სამინისტრო
წვერი ქვეყნები	ევროკავშირის წვერი ქვეყნები
რეგიონალური კვლევის ანგარიში	აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურის პოლიტიკისა და ტენდენციების რეგიონალური კვლევითი ანგარიში
პროგრამა	აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამა
პროექტი	აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფი
რეზიუმე	ევროსაბჭოს კულტურის პოლიტიკისა და ტენდენციების რეზიუმე
RMCBU	აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფი.
სემინარი	ლექციებისა და პრეზენტაციების ფორმატის მქონე ტრენინგი
SWOT	ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი
TA	ტექნიკური დახმარება
Workshop	ინტერაქტიული და ჯგუფური საპროექტო სამუშაოს ფორმატის მქონე ტრენინგი
WIPO	მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია
საჭიროებათა შეფასება 2008	კულტურულ საჭიროებათა შეფასებაზე ENPI აღმოსავლეთ რეგიონალური თანამშრომლობის მხარდაჭერაზე ანგარიში მომზადებული ევრო კომისიისათვის 2008 წლის სექტემბერში (კონტრაქტი № 2007/146264)

მადლობა

აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფი მადლობას უხდის ევროკავშირის დელეგაციას საქართველოში და განსაკუთრებით ბ-ნ ბორის იაროშევიჩს, დელეგაციის უფროსის მოადგილეს მრგვალი მაგიდის დისკუსიაში მონაწილეობისათვის და ბ-ნ ოლივერ რაიზნერს, პროექტის მენეჯერს, ქვეყანაში კვლევითი ვიზიტის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის, რომელთაც დაიწყო დიაგნოსტიკებისა და კვლევის პროცესები. RMCBU აგრეთვე მადლობას უხდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და კონკრეტულად ქ-ნ ანა ასათიანს, საერთაშორისო პროგრამებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის განყოფილების უფროსის მოადგილეს, და ქ-ნ სოფი ჩანთაძეს, იურიდიული ანალიზისა და კვლევის განყოფილების უფროსს. მათი ეფექტიანი მხარდაჭერა მრგვალი მაგიდის დისკუსიის მომზადებაში, სამუშაო შეხვედრების, ინტერვიუების, ადგილების მონახულების უზრუნველყოფაში ძალზედ დასაფასებელია. ასევე დასაფასებელია ანგარიშისათვის ინფორმაციის შეგროვებაში მათი დახმარება.

და ბოლოს RMCBU გუნდს სურს გამოხატოს თავისი მადლიერება EaP კულტურული პროგრამის წარმომადგენელი ყველა ძირითადი ეროვნული დაინტერესებული მხარის მიმართ: ეროვნული სახელმწიფო უწყებების, ზემოთხსენებულ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად, კერძო სექტორის, პროფესიონალური ასოციაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, ასევე კულტურის დარგის დამოუკიდებელი წარმომადგენლების და ქვეყანაში აქტიურად მოღვაწე დონორი ინსტიტუტების მიმართ. ყოველმა მათგანმა შეიტანა საკუთარი ფასდაუდებელი წვლილი ამ ანგარიშის მომზადებაში. აგრეთვე განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ:

თამარ ბერუაშვილი, დავით ბუჯიაშვილი, დავით ბუხრიკიძე, ნინო ჩიმაკაძე, ნინო ჭოდოშვილი, ქეთი დანელია, მაკა დვალიშვილი, ნინა გუნია-კუხნეცოვა, მარიამ იმედაძე, ხათუნა იოსელიანი, თინათინ კალატოზიშვილი, ქეთევან კანდელაკი, ინგა ქარაია, ხათუნა ხაბუღიანი, ზვიად ხმაღაძე, ქეთევან კინწურაშვილი, ეკატერინე კოკაია, ანი ლალიძე, სოფო ლობჯანიძე, თამრიკო ლორთქიფანიძე, მაია მანია, თამრიკო მელიქიშვილი, არჩილ მენაღარიშვილი, ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი, თათია მიმინოშვილი, რუსუდან მირზიკაშვილი, ზაზა ფურცველაძე, ნანა შარიქაძე, დავით სულაბერიძე, მიხეილ წერეთელი, ვატო წერეთელი, სალომე წიქარაშვილი, ლეილა თუმანიშვილი, ივანე ვაშაყმაძე-და ბევრი სხვა.

წინასიტყვაობა

ამ ანგარიშის წინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ კულტურის პროგრამის რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფი და მასში ასახულია ამ ანგარიშზე მომუშავე კონსულტანტების მოსაზრებები. იგი არ გამოხატავს ევროკომისიის მოსაზრებებს.

ეს ანგარიში გათვლილია ფართო აუდიტორიაზე, მათ შორის კულტურის დარგში მოღვაწე ყველა დაინტერესებულ მხარეზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირში. ეს ანგარიში არის შედეგი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურის პოლიტიკის კვლევისა და დიაგნოსტიკისა, რომელიც ჩატარებულ იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფის მიერ 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყანაში: – აზერბაიჯანში, ბელორუსში, მოლდავეთში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში. ამ კვლევის ობიექტივში მოექცა ეროვნული კულტურის პოლიტიკა შემდეგი ექვსი ქვეყნისა: აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი და უკრაინა - და ის პრაქტიკულად მიმართულია სტრატეგიული ხელმძღვანელობის გასაწევად აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამისათვის და რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფის საქმიანობისათვის.

კვლევის შედეგები მოცემულია ყოვლისმომცველი ანგარიშის ფორმით და შეიცავს:

- საბაზისო ანალიტიკურ ანგარიშებს ექვსივე ქვეყნის კულტურის სექტორსა და კულტურის პოლიტიკაზე;
- რეგიონალურ კვლევით ანგარიშს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურის პოლიტიკასა და ტენდენციებზე, რომელიც მოიცავს ყველა ექვს ქვეყანას და განსაზღვრავს მათ კულტურის დარგებში განვითარებისათვის პრიორიტეტულ სფეროებს 2015 წლის მარტამდე მოცემულ პერიოდში.

RMCBU-ს მიერ შემუშავებული საბაზისო ანგარიშები ექვემდებარება შემდგომ ანალიზს, განხილვასა და აზრთა გაცვლა-გამოცვლას.

ყოველი ქვეყნის კულტურის სექტორში მიმდინარე სიტუაციის კარგად ასახვით, ექვსი ქვეყნის საბაზისო ანგარიშები ხელს შეუწყობს შემდგომი განვითარებისა და EaP კულტურული პროგრამის პროგრესისათვის თვალის უკეთ მიდევნებას. ეს ანგარიშები ძირითადად ეფუძნება ქვეყნის კონკრეტული პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზს არსებულ საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან მიმართებაში. ჩვენ დრო და დრო ხელახლა გამოვიყენებთ ამავე ინდიკატორებს აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის მსვლელობისას, რათა შევაფასოთ კულტურის სექტორის განვითარება და მასში მომხდარი ცვლილებები. ჩვენ იმედი გვაქვს რომ ეს ინდიკატორები და ქვეყნის ანგარიშები ღირებული იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ხელისუფალთათვისაც როგორც ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებენ თავიანთ შესაბამის ქვეყნებში კულტურის სექტორის ცვლილებათა შეფასებას.

ექვსივე საბაზისო ანგარიში თავდაპირველი რედაქციით დაურიგდა ეროვნულ ხელისუფლებებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს EaP ქვეყნებში და რეგიონალური ანგარიშის ძირითადი დასკვნების პრეზენტაცია მოხდა აღმოსავლეთ პარტნიორობის (პლატფორმა № 4) კულტურის პოლიტიკის ექსპერტთა სემინარზე ბრიუსელში 2012 წლის სექტემბერში და აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის პირველ რეგიონალურ კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა თბილისში, 2012 წლის ოქტომბერში. ყველა ქვეყნის მთავრობას შესაძლებლობა მიეცა, გაეკეთებინა კომენტარი ან მოეწოდებინა დამატებითი ინფორმაცია. 2012 წლის სექტემბერ-ნოემბერში მოხდა ზოგიერთი საბაზისო ანგარიშის განახლება ეროვნული ხელისუფლებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ექვსი საბაზისო ანგარიში ინგლისურ და ეროვნულ ენებზე და რეგიონალური კვლევის ანგარიში ინგლისურად და რუსულად გამოქვეყნებულია პროგრამის ვებ-გვერდზე (www.euroeastculture.eu) ეროვნული ხელისუფლების მიერ შეტანილ მოსაზრებებთან ერთად, თუ ეს მოსაზრებები ეხებოდა RMCBU-ს. კულტურის საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს შეუძლია გამოიყენოს პროგრამის ვებ-გვერდი როგორც პლატფორმა დიალოგისათვის და გამოთქვას თავისი აზრი და გააკეთოს კომენტარები ანგარიშებზე.

გამოითქვა ვარაუდი, რომ ტრადიციული კატეგორიზაცია კულტურის სექტორების მიხედვით, მაგ. ქვე-სექტორებად, არ იქნებოდა ყველაზე შესაფერისი მიდგომა EaP პროგრამისათვის, რადგან აქ საჭირო იყო პრაქტიკული ფოკუსის ქონა რეზულტატებსა და შედეგებზე. ეს შედეგები დაკავშირებული იქნება არა კულტურისა თუ ხელოვნების სხვადასხვა ფორმებთან, არამედ იმასთან, თუ რა წვლილის შეტანას შეძლებს კულტურა ისეთ სფეროებში, როგორცაა დემოკრატიზაცია, მოდერნიზაცია და რეფორმები EaP ქვეყნებში. ამიტომ კვლევა აქცენტს აკეთებს შემდეგ ხუთ სფეროზე:

- თითოეულ ქვეყანაში არსებული კონტექსტი/კლიმატი კულტურისათვის;
- შემოქმედება და წარმოება;
- კულტურის მიწოდება, გადაცემა და გავრცელება;
- კულტურის ხელმისაწვდომობა;
- მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში.

ამ კატეგორიზაციაში იგულისხმება ისეთი საკითხები როგორცაა დემოკრატიზაცია და მოდერნიზაცია, რამდენად იქნა, ან ვერ იქნა, მიღწეული კულტურისა და კულტურის წარმოებისათვის პოზიტიური კლიმატი; “გახსნილობის” დონე კულტურის სისტემაში; ქვეყნის შეფარდებითი უნარი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს კულტურული განვითარების რეკოლუციური მოვლენები, როგორც მაგ. დიგიტალიზაცია (ციფრულ ფორმატში გადაყვანა), ინტერნეტი და ცვლილებები კულტურის “მონუმენტებში”; სისტემის შიგნით კულტურის მწარმოებლებსა და კულტურის მომხმარებლებს შორის ურთიერთობანი, და ბოლოს განსაზღვროს განვითარების, ორგანიზაციული სრულყოფის და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებანი რომლებიც შეიძლება არსებობდეს ამ კომპონენტების გათვალისწინებით.

თქვენ შეგიძლიათ მოიპოვოთ უფრო მეტი ინფორმაცია ევროკომისიის რეგიონალური პოლიტიკის კონტექსტზე და მონაწილე ქვეყნებში აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის რეალური მიმდინარე ტენდენციებზე, ისევე როგორც კვლევაში გამოყენებულ ანალიტიკურ კრიტერიუმებზე, კულტურის პოლიტიკის ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების განსაზღვრების წარმომავლობის და კვლევის ძირითადი ელემენტების და სამუშაო პროცედურების განსაზღვრულად გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე რეგიონალური კვლევის ანგარიშში.

ამ კვლევის ინიცირება მოხდა კულტურის პროგრამის რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფის ექვსი კვლევითი ვიზიტით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში. საქართველოში ვიზიტის შედეგები მოცემულია ამ ანგარიშის მე-4 სექციაში. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევითი მიმოხილვა (სექცია 3) გვაძლევს სიტუაციის ზოგად სურათს კულტურის სფეროში ეროვნულ დონეზე და უფრო ფართო რეგიონალურ EaP კონტექსტში და ეფუძნება შედარებას საერთაშორისო სტანდარტებთან და კრიტერიუმებთან, RMCBU ანალიტიკური რეზიუმე ქვეყანაში კვლევითი ვიზიტის ძირითადი შედეგები (სექცია 4) და განსაკუთრებით კი ეროვნული დაინტერესებული მხარეების მიერ ჩატარებული SWOT შეფასება კულტურის პოლიტიკისა და კულტურის დარგის პრიორიტეტულ საჭიროებებზე (დანართი 1) კი ასახავენ პროგრამით დაინტერესებული ეროვნული მხარეების ფართო სპექტრის ხედვას.

რადგან რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს *ეროვნული დაინტერესებული მხარეების კულტურის პოლიტიკისა და კულტურის დარგის პრიორიტეტულ საჭიროებებზე წარმოებულ SWOT შეფასებაში*, არ იყო საკმარისი იმისათვის რომ საფუძვლად დასდებოდა მეცნიერულად მყარ ანალიტიკურ კვლევას, ეს SWOT შეფასება თანდართულ იქნა ანგარიშზე მხოლოდ საინფორმაციო მიზნით. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ SWOT შეფასების შედეგები ემთხვევა ანალიზის დასკვნებს.

სექცია 3: ქვეყნების ანგარიშების კვლევითი მიმოხილვის მიზანი არის მონაცემების მოგროვება ფაქტობრივ მასალასა და ბეჭდვით წყაროებზე დაყრდნობით. პასუხები კვლევის კითხვებზე ყოველთვის არ ყოფილა ყოველისმომცველი; და მაინც ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვენარჩუნებინა მიმოხილვის ანგარიშის ურთიერთდაკავშირებული მონაკვეთები ხელუხლებლად რათა არ დარღვეულიყო 6 ანგარიშის შესაბამისობა. იქ სადაც არ იყო მონაცემები და მტკიცებულება, ანგარიშებში ნათქვამია: “მონაცემები/ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ”; მაშინ როცა ხანდახან საჭირო იყო შეფასებების მოშველიება. ასეთი შემთხვევების რაოდენობა მინიმუმამდეა

დაყვანილი. სხვა შემთხვევებში როცა ინფორმაციის მოგროვება ვერ მოხერხდა კვლევით დადგენილ ვადებში ანგარიშში ნათქვამია მონაცემები/ ინფორმაცია ვერ მოგროვდა”. მოსალოდნელია და იმედი გვაქვს რომ მომავალში უფრო იოლად იქნება ხელმისაწვდომი სათანადო ინფორმაცია.

ამ კვლევას ხელმძღვანელობდნენ ბ-ნი ლუჩიანო გლორი, RMCBU-ს გუნდის უფროსი და ქ-ნი ტეტიანა ბილევცკა, RMCBU-ს ორგანიზაციული განვითარების ექსპერტი. ქ-ნი ტეტიანა ბილევცკა აგრეთვე პასუხისმგებელი იყო ამ კვლევისა და დიაგნოსტიკის პრაქტიკული განხორციელების ყველა სტადიაზე, მათ შორის პარტნიორ ქვეყნებში კვლევითი ვიზიტების შედეგების შეგროვებასა და ანალიზზე და შეიდი ანგარიშის საბოლოო კონსოლიდაციასა და რედაქტირებაზე.

ტერი სანდელმა, RMCBU-ს ექსპერტმა, უზრუნველყო ამ კვლევის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა, მათ შორის მონაწილე ქვეყნების კულტურის დარგების სტატუსის ანალიზისათვის საჭირო სისტემის შემუშავება, მანვე შეიმუშავა ანგარიშის ანალიტიკური კატეგორიები და ინდიკატორები, ისევე როგორც ქვეყნების ანგარიშებზე დაფუძნებული ანალიტიკური კვლევის სტრუქტურა. მან ინსტრუქცია გაუწია სხვა ექსპერტებს და შეადგინა ან რედაქტირება გაუკეთა ქვეყნების ანგარიშების 1-3 სექციებს და მე-2 დანართს.

ქ-ნი მანანა თევზაძე, RMCBU ექსპერტი, პასუხისმგებელი იყო მე-3 სექციაში მოყვანილი ანალიტიკური კვლევის მიმოხილვაზე, აღწერითი და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაზე და კრიტერიუმებისა და სტანდარტების შედარებითი ანალიზის ჩატარებაზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის ანგარიშზე, გამოყენებულ მეთოდოლოგიასა და ჩატარებულ სამუშაოზე დაუკავშირდით ქ-ნი ტეტიანა ბილევცკას, RMCBU-ს ორგანიზაციული განვითარების ექსპერტს: tetiana.biletska@euroeastculture.eu და ბ-ნი ლუჩიანო გლორს, RMCBU გუნდის ხელმძღვანელს: luciano.gloor@euroeastculture.eu

1. კულტურული სიტუაციის მიმოხილვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

რეგიონალური ანგარიში, რომელიც ამ ქვეყნის ანგარიშის დანამატია, აქცევს ცალკეულ ქვეყნებს ერთიან კონტექსტში და გამოჰყოფს ფართო ტენდენციებსა და ზოგად საკითხებს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. თუმცა, აქ უმჯობესია წარმოვანიოთ ის მცირე კონტექსტი თუ რას ისახავდა მიზნად აღნიშნული კვლევა საქართველოსთან მიმართებით და რა მიდგომა იქნა გამოყენებული.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანას მოუწია უზარმაზარ გამოწვევებთან და პრობლემებთან გამკლავება. როგორც ბევრ ევროპულ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ კულტურა განიხილება მნიშვნელოვან დარგად, პოლიტიკური რეალობა ხშირად გულისხმობს, რომ კულტურა არ განიხილება დაფინანსებისათვის პრიორიტეტულად. საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნების სინამდვილეში ეს ხშირად ნიშნავდა კულტურის სფეროში სასოწარკვეთილ, აგრესიულ და მოკლევადიან ბრძოლას არსებობისათვის, ნაცვლად კარგად გააზრებული, წინასწარ განსაზღვრული გეგმების შემუშავებისა. წარსულზე ჩაბლაუჭება, მიმდინარე პროცესებისა და არსებული სისტემების შენარჩუნების მცდელობა რადგან უკეთესი არ არსებობს (თანაც ყველაფერი ნაცნობია) და კომპრომისებზე წასვლა უკეთესი მომავლის იმედით იყო მოქმედების ბუნებრივი კურსი. საკითხი იდგა არა ასე: "უკეთესი როგორც კარგის ალტერნატივა," არამედ - "ცუდი როგორც უარესზე უკეთესი". სტატუს ქვო ნაკლებად სახიფათო იყო ვიდრე უცნობი.

კულტურა და კულტურული განვითარება არ ხდება ვაკუუმში და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებულმა გარემომ, ზემოთხსენებული ეკონომიკური და დაფინანსების ასპექტებისგან განცალკევებით, ზოგადად ხელი ვერ შეუწყო პოზიტიურ განვითარებასა და ცვლილებებს. მემკვიდრეობით მიღებულმა პოლიტიკურმა პრობლემებმა და გამოწვევებმა, რომლებსაც პირდაპირი გავლენა აქვთ კულტურაზე, როგორც მაგალითად საბჭოთა ლინგვისტური, დემოგრაფიული, ტერიტორიული და ეთნიკური პოლიტიკის შედეგებმა, შექმნა ბარიერები და ხელი შეუშალა კულტურის სფეროს მშვიდობიან და მდგრად განვითარებას. მრავალფეროვნება, როგორც ერთ-ერთი მაგალითი, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ექსიდან სულ მცირე ხუთ ქვეყანაში კულტურის პოლიტიკის შემუშავებისას. მრავალფეროვნება შეიძლება იყოს ბუნების საჩუქარი კულტურული თვალსაზრისით, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში საუბედუროდ ის შეიძლება გადაიქცეს წყველად პოლიტიკური კუთხით. კონფლიქტებმა, დაძაბულობამ, ნდობის ნაკლებობამ, ისტორიის უკუღმართობამ და უსამართლობამ ერთად შეანელა და ძალიან გაართულა პოზიტიური ცვლილებები ამ ქვეყნებში.

ამასთან ერთად, ეს ქვეყნები სხვა უამრავი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ, მათ შორის სუსტი ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურის, კორუფციის, რომელიც წამლავს საზოგადოებას და მის ღირებულებებს, არასტაბილურობის და ზოგიერთ შემთხვევაში მომავლის რწმენის დაკარგვისა. ასეთ ფონზე კულტურის მინისტრობა, ან კულტურისა და მემკვიდრეობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეობა, ან კულტურის საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველად ყოფნა იმდენადვე იმედგამაცრუებელი იყო, რამდენადაც ხელოვანად, მუზეუმის კურატორად ან ბიბლიოთეკარად ყოფნა, რომლებსაც თავი ძლივს გააქვთ.

თუმცა, ბოლო დროს, რამდენადაც ეს ეხება კულტურას, კულტურის პოლიტიკასა და კულტურის განვითარებას, რეგიონში უკვე გამოჩნდა პირველი მწვანე ყლორტები და თუ დღევანდელი გადასახედიდან გადახედავთ, დავინახავთ რომ პროგრესი მიმდინარეობს თუმცა არც იმდენად და არც ისე სწრაფად, როგორც ყველას გვინდა.

განსაკუთრებით უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ რომ, მაგალითად, ქვეყნები ადგანან აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებისაკენ მიმავალ გზას, რაც ბუნებრივია მათი ახალი სახელმწიფოებრიობიდან გამომდინარე ხოლო ამ ქვეყნების ახალგაზრდობას უკეთ ესმის მოდერნიზაციის სიკეთეები, ის დიდი შესაძლებლობები რომლებსაც გვთავაზობს ახალი კომუნიკაციები და მიმდინარე ციფრული რევოლუციები, ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესები, მრავალმხრივი თვითმყოფადობისა და ინდივიდუალური თვითაქტუალიზაციის ძიება და ის როლი და წვლილი, რომლებიც კულტურამ და შემოქმედებამ, თანამედროვე განმარტებით, უნდა ითამაშოს სოციალურ,

ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებში ისევე როგორც ეროვნულ, რეგიონალურ და პიროვნულ განვითარებაში.

საქართველო მოდერნიზაციის, ახალი სტანდარტებისა და საერთაშორისო ჩართულობის გზაზე გაწევრიანდა UNESCO-სა და ევრო საბჭოში, დაარსდა ICOMOS-ს და ICOM-ს ეროვნული კომიტეტები, გახდა ICCROM-ის წევრი და ბოლო ოცი წლის მანძილზე მოახდინა კულტურასთან დაკავშირებული ძირითადი საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება, მათ შორის:

- ლიტერატურული და ხელოვნების ნამუშევართა დაცვის ბერნის კონვენცია,
- შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული საკუთრების დაცვის კონვენცია, ამ კონვენციის დაცვისათვის საჭირო წესებით,
- ევროპული კულტურის კონვენცია,
- UNESCO-ს კონვენცია პუბლიკაციების საერთაშორისო გაცვლის შესახებ,
- შემსრულებლების, ფონოგრამების, პროდიუსერებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია, UNESCO-ს კონვენცია კულტურული საკუთრების ფლობის, არალეგალური იმპორტის, ექსპორტის და გადაცემის აკრძალვისა და პრევენციის საშუალებების შესახებ,
- UNESCO-ს კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ,
- არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია,
- ერთობლივი კინემატოგრაფიული წარმოების ევროპული კონვენცია,
- კონვენცია შავი ზღვის ქვეყნების კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ინფორმაციის დარგში თანამშრომლობის შესახებ,
- WIPO საავტორო უფლების ხელშეკრულები,
- WIPO წარმოდგენების და ფონოგრამების ხელშეკრულები,
- UNESCO-ს კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ,
- კულტურული გამოსატვის მრავალფეროვნების დაცვისა და პოპულარიზაციის UNESCO-ს კონვენცია.

აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურულ პროგრამაში ჩართულობა უკანასკნელი სტადიაა და იმდენადვე მნიშვნელოვანი და პოტენციურად აუცილებელია ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნებისათვის, რამდენადაც საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებისათვის, კოლექტიურად და ინდივიდუალურად. ეს ჩართულობა განსაკუთრებით დროულია, რადგანაც საქართველო და რეგიონის სხვა პარტნიორი ქვეყნები, კულტურულ სექტორთან მიმართებით, უკვე ხედავენ როგორც სინათლეს გვირაბის ბოლოს, ასევე მზარდ მწვანე ყლორტებს, მიუხედავად იმისა რომ კვლავაც არსებობს დიდი გამოწვევები როგორც თვით კულტურულ არენაზე ასევე უფრო ფართო პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში, რომლის ფარგლებშიც კულტურა და კულტურული განვითარება ხორციელდება, არსებობს და ყვავის.

საქართველოში რამდენიმე ასეთი მწვანე ყლორტის არსებობის მაგალითებია უფრო მეტი გახსნილობა და გაუმჯობესებული კომუნიკაცია, მაგალითად ბიუჯეტზე ინფორმაციისა და კანონმდებლობის ხელმისაწვდომობის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების გაადვილებული რეგისტრაცია, მუხუშეთა სექტორში პრაქტიკული რეფორმები და მოდერნიზაცია, კულტურის სექტორის მხარდაჭერი “შემოერთებული მთავრობა” და ხელისუფლების ქმედების არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ აქტიური მონიტორინგის გარკვეული ფაქტების არსებობა. ეს მწვანე ყლორტები, არის რა თუმცა ჭეშმარიტად ქართული, იმსახურებენ უფრო დიდ ინტერესს და შესაძლოა მათი უფრო ფართო გამოყენება რეგიონში. იმედია, რომ წინამდებარე კვლევა და უფრო ფართო აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამა გამოიყენებს როგორც ქართულ გამოცდილებას და “მწვანე ყლორტებს”, ასევე დანარჩენი ხუთი ქვეყნისას, რათა ხელი შეუწყოს როგორც რეგიონალურ ასევე უფრო ფართო ევროპულ კულტურულ ჩართულობას, ზოგად, მრავალმხრივ, ორმხრივ და ინდივიდუალური ინიციატივების დონეზე.

ეს ფაქტიურად გვიჩვენებს თუ რას ისახავდა მიზნად ეს კვლევა და რა მიდგომა იქნა გამოყენებული. მწვანე ყლორტები, კულტივაცია, დარგვა, თესვა უფრო მეტია ვიდრე მებაღეობასთან დაკავშირებული მეტაფორები როდესაც ვლაპარაკობთ კულტურასა და

კულტურის განვითარებაზე. ფაქტიურად კულტურასა და მებაღეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ძალდაუტანებლად და პირდაპირ ითარგმნება ერთიდან მეორეზე და პირიქით: “კულტურა” და “კულტურები”, მრავალფეროვნება (ბიო/კულტურული), კლიმატი, ორგანული ზრდა, “ნაყოფიერი ნიადაგი”, ურთიერთ-განაყოფიერება, და თუნდაც “გასხვლა”. კვლევის მიმოხილვა არაორაზროვნად იყენებს მებაღეობის მეტაფორებს იმ გარემოს შესაცნობად, რომელშიც კულტურა ყალიბდება და ვითარდება ქვეყნებსა და მთლიანად რეგიონში. ის ცდილობს განსაზღვროს იმ ფაქტორების ერთობლიობა რომლებიც ხელს უშლის კულტურის განვითარებას და რომლებიც სცდება მხოლოდ დაფინანსების პრობლემას, რაც, თავის მხრივ, ყოველთვის იქნება პრობლემა.

მარტივად რომ ვთქვათ, შესაძლებელია მნიშვნელოვანი გაუმჯობესებების განხორციელება, რაც იმდენად ბიუჯეტზე არ იქნება დამოკიდებული, რამდენადაც ცოდნაზე, ლიდერობის უნარზე, სისტემების გაუმჯობესებაზე, ექსპერიმენტირებასა ან ახლებურ მიდგომებზე. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება მოდერნიზაციის გარკვეული ასპექტები ისეთ სფეროებში, როგორცაა მუზეუმები და ბიბლიოთეკები – კლიენტზე აქცენტირებული მომსახურება და კლიენტზე ზრუნვა შესაძლოა იმდენადვე იქნეს მიღწეული პერსონალის დამოკიდებულებისა და ცნობიერების შეცვლით, რამდენადაც ბიუჯეტით.

სამწუხაროდ ფაქტია, რომ არც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს და არც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ახლა, როცა ისინი განიცდიან ეკონომიკურ და ფინანსურ გარდაქმნებს, არ შეუძლიათ მუდმივად მზარდი ბიუჯეტების გარანტირება კულტურისათვის, ან ყოველი ხელოვანისა თუ ღირსეული კულტურული ინიციატივის მხარდასაჭერად. ასევე არ იქნებოდა მიზანშეწონილი მოველოდეთ მმართველი ხელისუფლებისაგან მათი საზოგადოებების შემოქმედებითობის და კულტურული კომპლექსურობის სრულ გაგებას. რასაც შეიძლება ველოდეთ ყველა სახელმწიფოსაგან რომლებიც აფასებენ ევროპულ იდენტობას, და ეს არის ამ კვლევის მამოძრავებელი ძალა და სამომავლო მოლოდინი, არის ის, რომ თუ გავაგრძელებთ მებაღეობის ანალოგიას – როგორც კარგმა მებაღეებმა – მათ, ვინც პასუხისმგებელია ეროვნული კულტურის განვითარებაზე იციან თუ როგორ მოიყვანონ კარგი მოსავალი. სხვა სიტყვებით, იქ სადაც კულტურასა და კულტურის განვითარებასთან გვაქვს საქმე, მმართველმა ხელისუფლებამ, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული კულტურის პოლიტიკის განვითარებაზე, იქნება ეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თუ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, უნდა იცოდეს თუ როგორ გაითვალისწინოს კლიმატური პირობები, იმოქმედოს ამინდთან მიმართებაში, გაზარდოს, მაგრამ არ ჩაერიოს საჭიროების გარეშე და ამოძრკოს “სარეველა” თუ ის დაემუქრება კულტურის სექტორის ჯანსაღ ზრდას. მსგავსად, მეტაფორულად, ბადის ჭკვიანურად მორწყვა წვიმის წყლის მაქსიმალურად გამოყენებასთან ერთად გვალვის პერიოდის შემსუბუქების მიზნით აგრეთვე არის ჯანსაღი პოლიტიკის ნაწილი. კულტურის მიწოდების, ხელმისაწვდომობის და მასში მონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხი, ანუ ყველა მხარის შესაძლებლობა შევიდეს, მიიღოს სიამოვნება და შეიტანოს წვლილი “ბაღში” სულ უფრო მეტად ექცევა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ყურადღების ფოკუსში. სახელმწიფო ხელისუფლების, დამოუკიდებელი/საზოგადოებრივი სექტორის და კომერციული სექტორის როლი და ურთიერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით.

მდიდარს თუ ღარიბს, დიდს თუ პატარას, მთავრობებს მოეთხოვებათ “აღზარდონ” და გახდნენ კულტურის “გამზრდელი” და “ფასილიტატორი”. ასეთი საზომით მიდგომა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს უფრო თანაბარ “სათამაშო მოედანს”, რაც შესაძლებელს გახდის რეალური მიღწევების შედარებას ევროპის მასშტაბით და არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ ქვეყნების მშპ-სა და კულტურის ბიუჯეტებზე. კულტურული განვითარების გასაღები არის ის კლიმატი და კონტექსტი, რომელთა ფარგლებშიც მხატვრული და შემოქმედების სხვა ფორმები ვითარდება. თუ არსებობს დაბრკოლებები – ბიუროკრატიული, სამართლებრივი, ფინანსური ან პიროვნული – მოკლედ ისეთი კლიმატი ან კონტექსტი რომელიც ძირითადად მტრულია კულტურის სექტორისათვის, კულტურა ვერ განვითარდება. მიუხედავად იმისა ჰქონდა თუ არა რაიმე სარგებელი ყოფილ საბჭოთა კულტურის სისტემას, ფაქტია რომ კულტურა იყო კონტროლის ინსტრუმენტი. მაშინ როცა ამ კონტროლის სისტემის ბევრი ნეგატიური ასპექტი უკვე აღარ არსებობს, ჯერ კიდევ შემორჩა გარკვეული ინსტიტუციონალური ატავიზმი. სახელმწიფო სექტორის კუთხით, დამოუკიდებლობის შემდეგ სახელმწიფო ინსტიტუტებმა ნამდვილად ბევრს მიაღწიეს, მაგრამ როგორც ეს კარგად შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას ინგლისურ ენაზე, ხანდახან ტრადიციულ კულტურის სამინისტროებად ყოფნის პრაქტიკა ჭარბობდა კულტურისათვის სამინისტროებად ყოფნის ტენდენციებს და კერძოდ ისეთი საკითხების

მოგვარებას, რომლებიც დაკავშირებულია იმ კონტექსტთან და კლიმატთან რომელშიც კულტურა მოქმედებს.

ჩატარებული კვლევის და მასთან დაკავშირებული სამუშაოს მიზანია განისაზღვროს ის საჭიროებანი, რომლებიც განსაკუთრებით შესატყვისი იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის განვითარებისათვის და რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფის მუშაობისათვის.

კვლევის შედეგად გამოჩნდა გარკვეული თემები და საჭიროებანი, მათ შორის:

- (i) იმის განსაზღვრა თუ ვინ მოიყვანს “მწვანე ყლორტებს” და როგორ შეიძლება ამ პიროვნებების, ჯგუფების და ორგანიზაციების უკეთ მხარდაჭერა;
- (ii) რა ტიპის ხელმძღვანელობა იქნება საჭირო ყველა დონეზე კულტურის დარგში;
- (iii) კულტურის პოლიტიკისა და კულტურის სტრატეგიისათვის საჭირო ძირითადი ელემენტების გაშუქება, რაც უზრუნველყოფს მოდერნიზაციას და საშუალებას მისცემს კულტურას, კულტურის პოლიტიკას და კულტურულ საქმიანობას დინამიური წვლილი შეიტანოს სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაში და დღის წესრიგში;
- (iv) კულტურის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, განსხვავებების დაძლევა, როგორც მაგ. ქაღალქსა და სოფელს შორის, და კულტურის მორგება თანამედროვე ღირებულებებსა და მისწრაფებებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა;
- (v) წარსულის შენარჩუნებისათვის მხარდაჭერის გაწონასწორება მომავლის შემოქმედებისათვის მხარდაჭერით;
- (vi) კომუნიკაციებისა და ახალი ტექნოლოგიების პოტენციალის და რევოლუციური ზეგავლენის აღიარება ხელმისაწვდომობის, კულტურის მოხმარების, კულტურული თვითმყოფადობის და პიროვნული თვით-აქტუალიზაციის თვალსაზრისით;
- (vii) პრაქტიკულ და პოლიტიკის დონეზე სახელმწიფო, რეგიონალურ, მუნიციპალურ, ადგილობრივ, კომერციულ და დამოუკიდებელ/არასამთავრობო დონეებზე კულტურის საკითხებში ჩართული მოთამაშეების შეთანხმებული მოქმედების მხედველობაში მიღება და მაქსიმიზაცია ისე, რომ ყველა არსებული რესურსი კულტურასთან მიმართებაში ეფექტიანად იყოს გამოყენებული;
- (viii) პოზიტიური გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება მრავალფეროვან და თავგზაამრევე სამყაროში, სადაც რევოლუციურად შეიცვალა საშუალებები, მაგრამ ისე სწრაფად არ შეცვლილა ადამიანების მისწრაფებები, შეზღუდვები და შიშები.

კვლევის ერთ-ერთი ნაწილი იყო სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებების შედარება პოზიტიური და ნეიტრალური ფორმით, რათა ეს ყველაფერი “სილამაზის კონკურსად” არ გადაგვექცია. ამ კვლევის მიზანია, გარკვეული ხედვის ჩამოყალიბება და ექვსი ქვეყნისათვის სწრაფი “ჯანმრთელობის ტესტის” ჩატარება კულტურასთან, კულტურის პოლიტიკასთან, და კულტურის განვითარებასთან მათი მიდგომის კუთხით, ისევე როგორც მათი მომავალი საჭიროებების განსაზღვრის თვალსაზრისით და ობიექტური და სუბიექტური შეფასების გაკეთება. Viმედოვნებთ, რომ ამის საფუძველზე ჩამოყალიბდება თანმიმდევრულად გააზრებული და დამატებითი ღირებულების მომტანი თანამშრომლობა ევროკავშირსა, მის წევრ სახელმწიფოებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის.

2. კულტურისა და კულტურის განვითარების ზოგიერთი ძირითადი მახასიათებელი საქართველოში

აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნის, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და მნიშვნელოვანწილად დღევანდლამდე, სახელისუფლო პოლიტიკის მიზანი კულტურის სექტორში იყო უბრალოდ გადარჩენა, რასთანაც ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კულტურულ მემკვიდრეობას, ძირითადად როგორც ეროვნული მშენებლობის და ეროვნული თვითმყოფადობის პოლიტიკის ნაწილს, ისევე როგორც საბჭოთა პერიოდიდან ნამემკვიდრები ეროვნული ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას. ამას ყველაფერს თან სდევდა დიდი ცვლილებები საზოგადოებაში, მათ შორის იდეოლოგიური ცენზურის გაუქმება, სიტყვის თავისუფლება და კულტურის კანონმდებლობის შექმნა და განვითარება რომელსაც საფუძვლად ეგროპული მოდელები ედო.

პრობლემა ისაა, რომ ამას ყველაფერს თან არ სდევდა პრაქტიკული რეფორმები და შენარჩუნება ხშირად ნიშნავდა “გაქვავებას” ხოლო კულტურის პოლიტიკა, დაგეგმვა, მართვა და დაფინანსება ხშირად არ იყო შესატყვისი იმ ახალი გარემოებებისა, რომლებშიც საქართველო და სხვა ქვეყნები აღმოჩნდნენ. ხშირად პოზიტიური ქმედებებიც კი ვერ ახდენდა რეალურ გავლენას, რადგან ისინი მხოლოდ ზედაპირულად ცვლიდა სიტუაციას და არ ეხებოდა ძირეულ საკითხებს. კულტურის კანონმდებლობა ამის კარგი მაგალითია. თვითონ კანონები ხშირად კარგად იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ უფრო ხშირად ისინი იყო უბრალოდ კონსულტაცია გაუვლელი დოკუმენტები, რომლებსაც არ ჰქონდათ არანაირი პრაქტიკული ღირებულება რადგან ისინი ეფუძნებოდა არაფუნქციონირებად სისტემებს. როდესაც ადგილი ჰქონდა რეფორმების გატარების მცდელობას ისინი ხორციელდებოდა უგულოდ ან არ სრულდებოდა ბოლომდე, ანუ ტარდებოდა “ნახევარ-რეფორმები”.

საქართველოს შემთხვევაში, დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდი ხასიათდება პოლიტიკური არეულობით, მათ შორის სამოქალაქო ომითა და უფრო მოგვიანებით რუსეთთან სამხედრო კონფლიქტით. პოლიტიკური არასტაბილურობა ვერ დაეხმარა ქვეყნის განვითარებას სტრატეგიული დაგეგმვისა და კულტურული განვითარების თვალსაზრისით. თუმცადა, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან განვითარებას 2003 წლის “ვარდების რევოლუციისა” და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების, მოგვიანებით კი იმავე წელს რუსეთთან კონფლიქტის შემდეგ. ამ მოვლენებმა ბიძგი მისცა მოქმედების დაწყებას, მაშინ როცა 2012 წლის არჩევნები, როგორც არ უნდა იყოს პოლიტიკურად ინტერპრეტირებული, მიუთითებს შემდგომ პოზიტიურ დემოკრატიულ სიწიფეზე, რაც დაეხმარება უწყვეტ პოზიტიურ ცვლილებებს.

კულტურა ტრადიციულად თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ქვეყანაში და ქართული კულტურა და ხელოვნება, ქვეყნის მასშტაბებთან შედარებით, დიდი ხნის მანძილზე სარგებლობდა განსაკუთრებული წარმატებით საერთაშორისო სარბიელზე. ამიტომაც არსებობს გარკვეული ბუნებრივი მიდრეკილება პოლიტიკური თვალსაზრისით პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ კულტურისათვის პრიორიტეტის მინიჭებისაკენ, თვით გაჭირვების უამსაც კი. აქედან გამომდინარე, მიუხედავად საერთაშორისო ფინანსური კრიზისისა, რომელმაც სერიოზული გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და დამორღუნველი სამხედრო კონფლიქტისა რუსეთთან, სახელმწიფოს მიერ კულტურის დაფინანსება აგრძელებდა ზრდას.

საქართველოში კულტურისათვის სამართლებრივი ჩარჩო არის 1997 წლის კანონი კულტურის შესახებ, რომელიც თავისი ბუნებით ძალიან ზოგადია. კულტურული მემკვიდრეობა იყო და რჩება უმთავრეს პრიორიტეტად და თუმცა იყო ბრალდებები ძველთა ნუსხაში შეტანილი შენობების საეჭვო პრივატიზაციასთან დაკავშირებით და შიგა და შიგ შეუსაბამო რესტავრაციები და ასე შემდეგ, ბევრი რამის მიღწევა მაინც მოხერხდა. ამ კონტექსტში საჭიროა აღინიშნოს რომ სამინისტროს გადაერქვა სახელი და დაერქვა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რაც ნათელს ჰფენს სახელმწიფოს პრიორიტეტებს.

2007 წლის კანონმა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მნიშვნელოვნად გამოასწორა წინა კანონმდებლობის ხარვეზები და მოაქცია ყველაფერი საერთაშორისო სტანდარტების ჩარჩოებში. მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო საქმიანობაში ჩართულობა, მაგ. UNESCO-სთან და ICCROM-თან თანამშრომლობით და ისეთი პროგრამების საშუალებით, როგორც ევროსაბჭოს STAGE პროგრამა და მისი მემკვიდრე კიევის ინიციატივა, აღმოჩნდა დიდად დამხმარე და პროდუქტიული ქვეყნისათვის. ამის ბოლოდროინდელი კარგი მაგალითია

ევროკავშირის/ევროსაბჭოს მიერ მხარდაჭერილი PP2 მემკვიდრეობის პროექტი კიევის ინიციატივის ფარგლებში. საქართველოსათვის ეს არის უფრო ფართო საქმიანობისა და გეგმის ნაწილი, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის რამდენიმე ისტორიული ქალაქის ცენტრის რეაბილიტაციას.

კულტურული მემკვიდრეობის საკითხები, იმის გათვალისწინებით რომ საქართველოს მემკვიდრეობის დიდი ნაწილი რელიგიური შინაარსისაა, პოტენციურად და ხანდახან პრაქტიკულადაც ქმნის სირთულეებს 2002 წლის საკონსტიტუციო შეთანხმების, ე.წ. კონკორდატის გამო, გაფორმებულის სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის, რომლის მიხედვითაც ეკლესია აღიარებულია ყველა რელიგიური ექსპონატისა და შენობის მფლობელად, მათ შორის მათი რომლებიც ინახება მუზეუმების კოლექციებში, და აგრეთვე იმ ეკლესიებისა, რომლებიც აღარ ფუნქციონირებს.

მიუხედავად იმისა, რომ აშკარა პრიორიტეტი ენიჭება კულტურულ მემკვიდრეობას, თანამედროვე ხელოვნება და კულტურა დაფასებულია სახელმწიფო დონეზე, მათ შორის მნიშვნელოვანწილად როგორც საქართველოს იმიჯის პროექცია საზღვარგარეთ, და მას უფრო დიდი ყურადღება დაეთმო 2008 წლის შემდეგ იმ განახლებული საერთაშორისო ინტერესის გამო რომელიც თანახლავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ავტონომიურ რესპუბლიკებს. ბოლო ათწლეულის მანძილზე, თავდაპირველად შეცდომებით, განხორციელდა მნიშვნელოვანი მცდელობები რათა აღედგინათ ქართული კინოს წარსული დიდება და ზოგადად არც თანამედროვე თეატრი და ვიზუალური ხელოვნება იყო მთლიანად უგულვებელყოფილი.

რეგიონალიზმი საქართველოში უკიდურესად მნიშვნელოვანია, რაც კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის მის მრავალფეროვნებას და აძლიერებს ტენდენციას ფრაგმენტაციისაკენ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც მოსახლეობის ნაწილს ქართველი მუსულმანები წარმოადგენენ, ვარდების რევოლუციამდე იყო დე ფაქტო მთლიანად დამოუკიდებელი კულტურის პოლიტიკის (და არა მარტო კულტურის პოლიტიკის) თვალსაზრისით, მაგრამ მოხდა მისი წარმატებული რეინტეგრაცია ეროვნულ პოლიტიკაში. როგორც ეს ჩანს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების მაგალითზე საქართველოში არსებობს გარკვეული დილემა და დაძაბულობა ცენტრალიზებულ და რეგიონალურ კონტროლს შორის ბალანსის კუთხით, და თვით მუნიციპალურ ხელისუფლებასაც კი ხშირად უჩნდება სურვილი “თვითონ აკეთოს საქმე” ცენტრისაგან ან ეროვნული ჩარჩოებისაგან დამოუკიდებლად.

მიუხედავად იმისა რომ 2010 წლის ბოლოს მიღებულმა ახალმა კონსტიტუციამ გადაიყვანა ქვეყანა საპრეზიდენტო სისტემიდან საპარლამენტო-საპრეზიდენტო სისტემაზე, ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული ცენტრალიზაციის ტენდენციები მაინც გრძელდება. კვლავ ძალაშია სისტემა, რომელიც გულისხმობს რეგიონებში ათი “რწმუნებულის” ან პრეზიდენტის წარმომადგენლის ან გუბერნატორის არსებობას. რწმუნებულების ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა არის კულტურის საკითხებზე მოკლე დასკვნის გაკეთება და პრაქტიკაში ისინი თამაშობენ პარალელური ადგილობრივი ადმინისტრაციის როლს, ოღონდ დაფინანსებულის სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტიდან და პასუხს აგებენ უშუალოდ პრეზიდენტის წინაშე.

მუზეუმების რეფორმა და განვითარება აქტიურად ხორციელდება და აქაც ხელშესახებ პროგრესთან გვაქვს საქმე. ეს საქმიანობა ძირითად აქცენტს აკეთებს *საქართველოს ეროვნული მუზეუმის* შექმნასა და კონსოლიდაციაზე. აღნიშნული მუზეუმი შეიქმნა როგორც “ქოლგა” თერთმეტი მუზეუმისათვის და აგრეთვე ქვე-სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სადაც 2004 წლამდე შექმნილი იყო აბსოლუტურად უფერული სიტუაცია და მუზეუმთა ქსელი ბევრ სფეროში წყვეტდა ფუნქციონირებას.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კონკრეტული საკანონმდებლო დებულება სპონსორობის თაობაზე ის მაინც ხორციელდებოდა სულ მცირე ერთი მსხვილი სპონსორის მიერ ბოლო წლებში, კონკრეტულად ქართუ ფონდის მიერ, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს და რომლის მფლობელიც გახლავთ უკიდურესად მდიდარი და პატრიოტი ქართველი, რომელმაც ბოლო დროს პოლიტიკაში შემოაბიჯა.

იმყოფება რა ჯერ კიდევ განუვითარებელ სტადიაზე, შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრია (CCI) წარმოადგენს განცხადებულ პრიორიტეტს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის. თუმცა საქმიანობის დონის განსაზღვრა ჯერ კიდევ რთულია, ანუ

განსახდვრა იმისა თუ რა დონის ზღვარი არსებობს მისწრაფებებსა და რეალურ ქმედებას შორის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კულტურის საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობის სიმწირისა ბოლო წლებში, 2010 წელს გავიდა კანონი პროექტირებაზე, რომელიც ცალსახად ეხება ინტელექტუალურ და მსგავს საკუთრებაზე უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვა მსგავს სფეროებს, რაც ცხადია მნიშვნელოვანია CCI-ს განვითარების წახალისების კონტექსტში.

3. კვლევითი მიმოხილვა

3.1. კონტექსტი / კლიმატი

3.1.1. საკანონმდებლო, საგადასახადო, სარეგისტრაციო და დასაქმების საკითხები რომლებსაც გაავლენა აქვთ კულტურაზე. რამდენად უწყობს ეს საკითხები ხელს კულტურისა და შემოქმედების განვითარებას

- ა. ეროვნული კანონმდებლობის (მაგ. როგორც ეს აღქმულია კულტურის სექტორის “მოთამაშების” მიერ), კულტურის განვითარებაზე ან კულტურის სექტორის “ჯანმრთელობაზე” უშუალო ზემოქმედების დონე და ამ საკითხის სერიოზულობის ხარისხი

მაშინ როცა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (MCMP) კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ მტკიცებას, ეროვნული კანონმდებლობა ნამდვილად აღიქმება კულტურულ სექტორში მომუშავე ზოგიერთი ექსპერტის მიერ როგორც არასრული და სერიოზული ნაკლოვანებების მქონე. ისინი მიიჩნევენ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონს (2007), მაგ. აკლია კონკრეტული კანონქვემდებარე აქტები და ადმინისტრაციული ინსტრუმენტები. ზოგიერთი საკამათოდ მიიჩნევს, რომ არსებობს სერიოზული უზუსტობები უფლებათა და პასუხისმგებლობათა განაწილების კუთხით სხვადასხვა მფლობელს შორის, როგორც მაგ. კერძო სექტორი, ეკლესია, სახელმწიფო და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო შეთანხმება ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, სხვათა შორის, აღწერს თითოეული მხარის პასუხისმგებლობას რელიგიური ძეგლების მიმართ, დებულებები საკმაოდ ბუნდოვანია, რასაც ხშირად მივყავართ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების არასწორ მართვამდე. თვით კანონი ზოგიერთ მუხლში საზღვრავს როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სტრუქტურების უფლებებსა და მოვალეობებს. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის პრივატიზაციის კონტროლის უფლება კანონის სახელმწიფო საკუთრების შესახებ ფარგლებში (2010).

ასევე გარკვეულწილად მიიჩნევა, რომ კანონი მუხეუმებზე არაადექვატურია და ეწინააღმდეგება სხვა კანონქვემდებარე აქტებს და მასთან დაკავშირებულ კანონებს.

გამომდინარე ასეთი სისუსტეებიდან სერიოზულ საკითხად დგას მაგ. მოსაზრება სხვადასხვა დონეზე, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებას პრივატიზაცია გაუკეთოს დაცულ სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ძეგლებს მიფყვართ ისეთ პრივატიზაციებამდე, როდესაც ვერ სრულდება ხელშეკრულებების მკაფიოდ განსაზღვრული პირობები გამოყენებაზე, დაცვის პასუხისმგებლობებზე, ფუნქციაზე და სხვ. კულტურული მემკვიდრეობის იჯარით გაცემა ნამდვილად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშაა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით. MCMP-ს მტკიცებით ასეთ პრობლემებს ადგილი არა აქვს და პრივატიზაციების შემთხვევაში მას აქვს კონტრაქტი მოიჯარესთან კულტურული მემკვიდრეობის კანონზე დაყრდნობით.

- ბ. არის თუ არა ეროვნული კანონმდებლობა ზოგადი თუ კულტურასთან მიმართებით კონკრეტული და ახდენს თუ არა გაავლენას კულტურისა და შემოქმედების განვითარებაზე

კანონმდებლობა კულტურასთან მიმართებით კონკრეტულია და ყველა შესაბამისი კანონი კულტურაზე თითქოს ადგილზეა, როგორც მაგ. კონკრეტული კანონები მუხეუმებზე, კინოზე, თეატრებზე და სხვ. და მაინც არსებული კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს სათანადო ბაზას კულტურის სექტორის შემოქმედებითი განვითარებისათვის, და არ არის გარანტი კულტურული რესურსების დაცვისა და ქვეყნის საყოველთაო განვითარებაში მათი ინტეგრაციისა. ეს არის კულტურასთან დაკავშირებით კონკრეტული კანონმდებლობა, რომელიც რეგულაციურია აქ. რადგანაც არსებობს კონკრეტული ინდივიდუალური კანონები კულტურაზე, მუხეუმებზე, თეატრებზე, კანონი კინემატოგრაფიის მხარდაჭერაზე სახელმწიფოს მიერ, კანონი კულტურული საქონლის საქართველოში იმპორტსა და საქართველოდან ექსპორტზე და სხვ.

- გ. კულტურაზე კანონმდებლობის მაგალითები რომლებიც კარგად მუშაობს.

ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.

- დ. კულტურის საკითხებთან დაკავშირებული ახალი ან გადასინჯული კანონმდებლობა რომლის მიზანია მოაგვაროს აღქმული პრობლემები და ამ პრობლემების აღწერილობა.

ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.

- ე. რამდენად უშლის საგადასახადო წესები და საკითხები ხელს კულტურის განვითარებას და კულტურის დარგის სიჯანსაღეს (როგორც ეს აღქმულია კულტურის დარგში დაკავებულების მიერ).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, მუხლი 168.2.ბ, საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაკვეთილი მომსახურება, როგორც მაგ. ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია ან მოხატვა, თავისუფლდება დღგ-საგან. მუხლი 168. 2 გ-ს თანახმად, პირის მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ან/და საკულტო-რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულება

აგრეთვე თავისუფლდება დღგ-საგან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასევე აწესებს გარკვეულ სტიმულებს საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის, მაგ. მასში ნათქვამია რომ ქველმოქმედება თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა როცა მოგება მიღებულია ეკონომიკური საქმიანობით.

საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ მიღებული გრანტები, საწევრო გადასახადები და შემოწირულობები განთავსებულია გადასახადისაგან. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლები 99 და 117).

თუმცა თუ ორგანიზაცია (საქველმოქმედო ან კომერციული) გაიღებს საქველმოქმედო შემოწირულობას ან წვლილს საქონლის, ფულის ან მომსახურების სახით ფიზიკურ პირის მიმართ, ეს ითვლება როგორც ბენეფიციარის შემოსავალი და დონორი (საქველმოქმედო ან კომერციული ორგანიზაცია) ვალდებულია გადაიხადოს მასზე გადასახადი რომელიც მიდის სახელმწიფო ბიუჯეტში. ცხადია ასეთი წესები ართულებს შემოწირულობების გაღებისა და წვლილის შეტანის საკითხებს და აძვირებს ქველმოქმედებას (იხ. “მოხალისეობა–საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი და ქართული კანონმდებლობის რეფორმა” <http://www.epfound.ge/>, თავისუფლების ინსტიტუტის მიერ ევრაზიის ფონდის დაკვეთით ჩატარებული კვლევა).

რსანიშნავია, რომ რაც შეეხება ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადს, საგადასახადო კოდექსი არ ადგენს არავითარ სტიმულებს რომლებიც მიმართული იქნებოდა ფილანტროპიული საქმიანობის წახალისებისაკენ, სხვა სიტყვებით - საგადასახადო შეღავათებს საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

კანონი ადგენს, რომ კომერციულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ აწარმოონ საქველმოქმედო ან ფილანტროპიული საქმიანობა მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან გადასახადისაგან თუ ასეთი საქმიანობა ხორციელდება საქველმოქმედო ორგანიზაციის საშუალებით, ე.ი. არაპირდაპირ. კომპანიას აქვს უფლება კლასიფიკაცია გაუკეთოს თავის ფილანტროპიულ და საქველმოქმედო შემოწირულობებს როგორც გადასახადისაგან გათავისუფლებულ ხარჯებს მის გადასახადს დაქვემდებარებული მოგების 10 %-ან ზღვრამდე.

- გ. კულტურის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ან კომერციული პირების რეგისტრაციის პროცესი: ხანგრძლივობა, ფაზათა რაოდენობა, გაწეული ხარჯები, სირთულე.

არასამთავრობო ორგანიზაციის დარეგისტრირება ძალიან მარტივია. საჭირო დოკუმენტების (პირადობის მოწმობა, წესდება) წარდგენა ხდება ნოტარიუსთან და შემდეგ ეროვნულ საჯარო რეესტრში. მკვარად, გასაგებელია მხოლოდ ორი სტადია და ამის გაკეთება შეიძლება ერთ დღეზე ნაკლებში. ღირებულება დამოკიდებულია დამფუძნებელი ხელისმომწერების რაოდენობაზე და მუხლების სირთულეზე, ანუ იმაზე თუ რას ამტკიცებს ნოტარიუსი მაგრამ არასოდეს აღემატება 100 ლარს (45 ევროს). ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს იურიდიული მისამართი და წესებში ბოლოდროინდელი ცვლილების თანახმად, ელ-ფოსტის მისამართი.

იგივე ეხება კომერციული პირის დარეგისტრირებასაც; ეს პროცედურაც შედგება მხოლოდ ნოტარიუსისა და საჯარო რეესტრის ოპერაციებისაგან და შეიძლება შესრულდეს რამდენიმე საათში, თუ ყველა საჭირო დოკუმენტი, როგორც მაგ. წესდებები, მოწმობები წესრიგშია და

შეესაბამება კანონს. კომერციული ორგანიზაციის რეგისტრაციის ღირებულება ცოტათი უფრო მაღალია. თუ ორგანიზაციას გააჩნია სადამფუძნებლო კაპიტალი, სარეგისტრაციო გადასახადი იანგარიშება მის მიხედვით.

3.1.2. გამჭვირვალობა და კორუფცია

- ა. ქვეყნის რეიტინგი Transparency International Index-ში: ამჟამინდელი რეიტინგი წინა ორ წელთან შედარებით

საქართველოს უკავია 64-ე ადგილი Transparency International Corruption Perceptions Index-ში 2011 წელს 4.1 ქულით, ნაცვლად 68-ე ადგილისა 2010 წელს 3.8 ქულით და 66-ე ადგილისა 2009 წელს 4.1 ქულით.

- ბ. ნებისმიერი სხვა საიმედო წყარო რომელიც ახდენს კულტურის სექტორში უშუალო კორუფციის ან გამჭვირვალობის განზრახ შექმნილი სიმწირის არსებობის ილუსტრირებას ან კულტურის დარგზე ზოგადი კორუფციის გაგლენა

პირდაპირი კორუფცია უკვე აღარ არსებობს, მაგრამ გამჭვირვალობის ნაკლებობა ჯერ კიდევ პრობლემატურია. მიუხედავად კულტურის სამინისტროს მტკიცებისა, რომ კულტურის პროექტების დაფინანსება ხდება სამინისტროს ვებ-გვერდზე ღიად გამოცხადებული კონკურსების შედეგად, ასეთი განცხადებები იშვიათად თავსდება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არ არის სრულად გამჭვირვალე. ძალიან იშვიათია, რომ კულტურულ სცენაზე ახლად გამოსულმა პიროვნებამ ან ხელოვანთა ჯგუფმა დამოუკიდებლად მოიპოვოს სახელმწიფო დაფინანსება ხელოვნების/კულტურის პროექტისათვის, რადგან გაცილებით უფრო ხშირად გადაწყვეტილებები მიიღება აღიარებული ჯგუფების ან პიროვნებების სასარგებლოდ, რომლებსაც პერსონალური კონტაქტები აქვთ ან სამინისტროსა ან უფრო მაღალ დონეზე.

არაა გასაკვირი, რომ MCMP არ იზიარებს ამ შეხედულებას და გამჭვირვალობის მაგალითად მოჰყავს რომ ეროვნული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ დაკვეთილი ყველა სარეაბილიტაციო სამუშაო ექვემდებარება ღია ტენდერს და რომ ყველა საკონკურსო განცხადება იბეჭდება გაზეთში და სამინისტროს ვებ-გვერდზე. MCMP-ს მიერ დღესდღეობით ხდება 83 ორგანიზაციის საგრანტო დაფინანსება.

3.1.3. ოფიციალური და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფა და გავრცელება

- ა. განთავსებულია თუ არა კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე კულტურის საკითხებზე არსებული კანონმდებლობა ან მითითებულია თუ არა იოლად მოსაძებნი ბმული?

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ განაახლა თავისი ვებ-გვერდი www.mcs.gov.ge 2011 წლის ივნისში. ახლა ის გაცილებით უფრო ინფორმატიულია ვიდრე წინათ. სექციის “ჩვენს შესახებ” ქვეშ, საკანონმდებლო აქტების ქვეშ მოცემულია სია ყველა შესაბამისი კულტურული კანონმდებლობისა, რომელიც ადვილი ჩამოსატვირთია ვორდ-ის ფორმატში. პარლამენტის ვებ-გვერდზე აგრეთვე არის კანონების შესახებ მონაცემთა ბაზა, საიდანაც კულტურასთან დაკავშირებული კანონები ადვილად შეიძლება იყოს მოძიებული და ჩამოტვირთული.

<http://www.mcs.gov.ge/text-6.html>

http://www.parliament.ge/index.php?kan_kat_id=43&sec_id=69&lang_id=GEO&kan_name=&kan_text=&kan_from=&kan_to=&kan_num=&Search=%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90

- ბ. კულტურული ორგანიზაციების /ან სუბიექტებისათვის რჩევის, დახმარების/დაფინანსების მიცემის კუთხით კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდის ეფექტიანობის ხარისხი.

ასეთი რჩევები არ არის ვებ-გვერდზე. სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსების შემთხვევაში, ინფორმაცია თავსდება ვებ-გვერდზე.

- გ. სამინისტროს ვებ-გვერდზე კულტურული ორგანიზაციების და/ან სუბიექტებისათვის კულტურის სამინისტროს მიერ გასულ წლებში გამოყოფილი დახმარებისა ან დაფინანსების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე, სათაურის “კულტურა” ქვეშ ჩამოთვლილია კულტურის დარგები, როგორც მაგ. კინო, თეატრი, ვიზუალური ხელოვნება და სხვა. ყოველ დარგს გააჩნია ქვე-სექცია: პროგრამა, პროექტები, გალერეა. პროექტების ქვეშ, მხოლოდ ორს შეიდიდან – ვიზუალური ხელოვნება და ლიტერატურა – გაკეთებული აქვს ჩამონათვალი ამჟამინდელი და წარსული პროექტებისა, უმეტესობა წინა წლიდან, თუმცა ზოგიერთი უფრო გვიანი პერიოდის, მაშინ როცა დანარჩენებს ჩამოთვლილი აქვთ ზოგიერთი განსახორციელებელი ინიციატივა ან განთავსებული აქვთ პროგრამები პროექტების ნაცვლად.

- დ. კულტურის სამინისტროს ბიუჯეტზე, გამოყოფილ თანხებსა და რეალურ ხარჯებზე მეტნაღებად დეტალური ინფორმაციის არსებობა სამინისტროს ვებ-გვერდზე

საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის, ნაწილი 3-ის, ინფორმაციის გამჭვირვალობაზე, თანახმად სამინისტროს ბიუჯეტი ღია დოკუმენტია რომელიც საჯაროდ უნდა იქნას გამოქვეყნებული. ამჟამად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო შეიმუშავებს “ღია მთავრობის სტრატეგიას” რაც დაავალდებულებს ყველა სამინისტროს გამოაქვეყნოს თავისი სტრუქტურა, ინფორმაცია შტატზე და საბიუჯეტო ინფორმაცია. დღესდღეისობით კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ დევს ინფორმაცია სამინისტროს ბიუჯეტის ან რეალური ხარჯების შესახებ.

მაშინ როცა MCMP-ს ვებ-გვერდზე არ დევს ბიუჯეტთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.gov.ge) MCMP-მ აგრეთვე განაცხადა, რომ ასეთი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ინფორმაციის თავისუფლების კანონის თანახმად.

- ე. თუ არც ერთი ა) დან დ) -მდე პუნქტი არ არსებობს კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე, არსებობს კი საერთოდ ისინი რაიმე ელექტრონულ (სხვა ცნობილ ვებ-რესურსში) ან ბეჭდვით ფორმატში.

გარკვეული ინფორმაცია სამინისტროს ხარჯების შესახებ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.opendata.ge რომელიც გახსნილი აქვს ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას. ის გამოითხოვს საბიუჯეტო ინფორმაციას საჯარო ორგანიზაციებისაგან და დებს გვერდზე იმავე ფორმით როგორც იღებს, ხანდახან ეს არის არასრული ინფორმაცია. ეს ვებ-გვერდი არც ისე კარგადაა ცნობილი, ასე რომ მისი მოძებნა არც ისე იოლია.

საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია საბიუჯეტო ინფორმაციის მოთხოვნა ნებისმიერი საჯარო დაწესებულებისაგან და დაწესებულება ვალდებულია მიაწოდოს ეს ინფორმაცია მოთხოვნილი ფორმით 2 კვირის განმავლობაში. ეს დებულება უმეტეს შემთხვევაში სრულდება.

- ვ. კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდის გამოყენების დონე (ანუ ვებ-სტატისტიკა, მაგ. გვერდის გახსნა, გვერდის მნახველთა რიცხვი და ა.შ.).

კულტურის სამინისტროს არ გააჩნია სტატისტიკა მისი ვებ-გვერდის გამოყენების შესახებ.

- ზ. კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე ჯვარედინი მითითების დონე სხვა სამინისტროებისა თუ ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ვებ-გვერდებზე, მაგ. განათლების, ახალგაზრდობის, ლიცენზირებასთან დაკავშირებული თუ სხვ., კულტურის, ინტეგრირებული დაგეგმვის და კულტურული საქმიანობის აქტუალური საკითხების მიმართ.

კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე “ბმულების” ქვეშ მითითებულია ყველა სხვა სამინისტროს ვებ-გვერდები. მთავარ გვერდზე აგრეთვე მოცემულია კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ისევე როგორც სხვა ეროვნული პროგრამების ვებ-გვერდების მისამართები.

3.14. კულტურის პოლიტიკის ინტეგრაცია სხვა პოლიტიკასა და სტრატეგიებში

ა. პოლიტიკის დოკუმენტების ან ინფორმაციის სხვა ოფიციალური წყაროების არსებობა

კულტურის პოლიტიკის ინტეგრაცია ჩანს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, სადაც ლაპარაკია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობაზე (<http://www.nsc.gov.ge/eng/index.php>) საქართველოში და საზღვარგარეთ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე (ე.ი. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში) მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობისადმი განსაკუთრებული ყურადღების დათმობით.

ფართოდ განიხილება აგრეთვე კულტურული ტურიზმის განვითარებაც, მაგრამ როგორც ჩანს კვლავაც არ არსებობს საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები, რომლებიც აღწერს ქვეყნის პოლიტიკას ამ სფეროში.

დოკუმენტში *ეროვნული ტურიზმის განვითარება და ინვესტიციები, სტრატეგია საქართველოსათვის*, რომელიც 2008 წელს შეადგინა ამერიკულმა კომპანიამ, ნათქვამია რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება არის ერთ-ერთი პრიორიტეტი და რომ მემკვიდრეობა აღიარებულია ტურიზმის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს აქტივად და მთავარ მიმზიდველ ძალად ქართველი და უცხოელი ტურისტებისათვის.

იმავ დოკუმენტში, ინვესტიციებისათვის პრიორიტეტების ქვეშ, სხვა პროექტებთან ერთად კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პროგრამა მიჩნეულია პოტენციურ სტრატეგიულ კატალიზატორად ქართული ტურიზმის განვითარებისა და მასში ინვესტიციებისათვის რაც ქმნის ფუნდამენტს განვითარების კონცეფციისათვის. ეს დოკუმენტი არ არის ხელმისაწვდომი ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე, რომელშიც შედის ტურიზმის დეპარტამენტი, და ის ჯერ არც მიუღიათ, ასე რომ მას არა აქვს სავალდებულო სტატუსი.

ბ. სამინისტროთა, უწყებათა და დეპარტამენტთა შორის ერთობლივი საქმიანობის მაგალითები.

კულტურის სამინისტროსა და სხვა უწყებებს შორის თანამშრომლობის რამოდენიმე მაგალითი:

- საავტორო უფლებების დაცვის მიზნით კულტურის სამინისტრო თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და “საქპატენტთან”, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან.
- კულტურის სამინისტრო თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ სისხლის სამართლებრივ დანაშაულთა საქმეების საკითხებზე.
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობის შედეგად, კულტურის სამინისტრომ ხელი შეუწყო ქართული კინო ინდუსტრიის განვითარებას. ერთ-ერთი მაგალითი ამ ერთობლივი ინიციატივით მოტანილი სარგებლისა არის ის, რომ ბოლივუდის პროდიუსერები დაინტერესდნენ საქართველოში გადაღებებით. 2011 წელს საქართველო გახდა Eurimages მონაწილე.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით კულტურის სამინისტრო ახორციელებს რამდენიმე პროექტს როგორც მაგ. მუზეუმების პროგრამა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო სკოლების მოსწავლეებს უტარდებათ გაკვეთილები საქართველოს ეროვნულ გალერეაში წელიწადში რამდენჯერმე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისი საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის საშუალებით თანამშრომლობს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან საგანგებო სიტუაციებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის მიზნით დეტალური გეგმებისა და წესების შემუშავების კუთხით. 2008 წლის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება სტიქიურ და ადამიანების მიერ გამოწვეულ საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმაზე შეიცავს თავს მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე საგანგებო სიტუაციებში.

ეროვნული უშიშროების საბჭო თანამშრომლობს MCMP-სა და მის სააგენტოსთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ისეთ საკითხებზე, როგორცაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის გადაუდებელი გეგმები, ისევე როგორც ეროვნულ უმცირესობათა მემკვიდრეობა/კულტურა. ასეთი თანამშრომლობის მაგალითს ადგილი ჰქონდა 2008 წელს რუსულ-ქართული ომის შემდეგ

როდესაც უწყებათშორისმა სამოქმედო ჯგუფმა შეადგინა ოფიციალური გაცხადება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობაზე ომგამოვლილ ტერიტორიებზე.

არსებობს აგრეთვე შემწინარებლობის და ეროვნული ინტეგრაციის საბჭო, რომლის წევრიც გახლავთ კულტურის მინისტრის მოადგილე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სხვა სამინისტროების წარმომადგენლებთან და პარლამენტის წევრებთან ერთად. უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება ინგლისურ ენაზე უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხებსა და სხვა თემებზე შეგიძლიათ ვებ-გვერდზე <http://diversity.ge/eng/>

გ. რეგულარული ფორმალური და არაფორმალური დაგეგმვა, კონსულტაციები, ან მსგავსი შეხვედრები.

იხ. სექცია ბ, ზემოთ.

3.1.5. რეალური ანგარიშგაღებულება და გახსნილობა

ა. ოფიციალური რეგულარული კონსულტაციები და ბრიფინგები: (1)კულტურის დარგის წარმომადგენლებთან; და (2) მასმედიის წარმომადგენლებთან

არ არსებობს ოფიციალური ან რეგულარული კონსულტაციების პრაქტიკა კულტურის სამინისტროსა და კულტურის სფეროს სხვა მოთამაშეებს/მედია წარმომადგენლებს შორის. მასმედიის ურთიერთქმედება სამინისტროსთან შემოიფარგლება ერთჯერადი კონკრეტული ღონისძიებების გაშუქებით, რომელიც ორგანიზებული და მხარდაჭერილია სამინისტროს მიერ ან ზოგიერთი სხვა ღონისძიებით, რომელიც საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. სამინისტროში დაახლოებით 2006 წლამდე არსებობდა მრჩეველთა საბჭო, რომელიც იყო ნებაყოფლობითი ორგანო და შედგებოდა კულტურის დარგის რამოდენიმე კარგად ცნობილი წარმომადგენლისაგან, რომელთაგან სამინისტრო სხვადასხვა საკითხებზე კონსულტაციებს იღებდა. ეს სტრუქტურა უკვე აღარ არსებობს და მინისტრს ჰყავს მუდმივი მრჩეველები – ისინი არიან სამინისტროს შტატის ნაწილი და რჩევენ აძლევენ მინისტრს ყოველ შესაბამის სფეროში. მოიაზრება ამ საბჭოს ხელახლა შემოღება, მაგრამ ეს საკითხი გადაწყვეტილი ჯერ არ არის.

ბ. ზოგადი პოლიტიკის, საბიუჯეტო და აქტივობების შესახებ დაინტერესებული საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების რეგულარულობა

ინფორმაცია ზოგად პოლიტიკასა და საქმიანობაზე ძირითადად ფართოდ შუქდება და რეკლამირდება, მაგრამ ზოგიერთი ტიპის ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს შესაძლოა არ მოხვდეს საჯარო სივრცეში (მაგ. შეუსაბამო “რეაბილიტაციის” სამუშაოები, ან გადაჭარბებულად ძვირი ბიუჯეტი ერთი კონცერტისათვის). მაგალითად, შესაძლოა მოხდეს ზოგიერთი ძეგლის პრივატიზაცია, სიიდან ამოღება და ა.შ. მაშინ როცა ინფორმაციის მიღება (რომელიც საჯარო და ღიაა) ასეთ გადაწყვეტილებებზე შესაძლოა მიზანმიმართულად შეფერხდეს. იყო შემთხვევები როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია ითხოვდა დასწრებას კულტურის სამინისტროს გაერთიანებული სამეცნიერო მეთოდოლოგიური კომისიისა და თბილისის არქიტექტურის სამსახურის შეხვედრებზე, მაგრამ ასეთი მოთხოვნები უარყოფილ იქნა. ეს ფაქტიურად არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევა.

გ. რამდენად ხელმისაწვდომია კულტურასა და კულტურის დარგზე პასუხისმგებელი პირების ბიზნეს გეგმები და მიზნები მოსახლეობისათვის

ბიზნეს გეგმების არსებობაზე ინფორმაცია ვერ მოგროვდა მაგრამ აქ ალბათ შესაბამისი იქნება ვახსენოთ მემკვიდრეობის კონსერვაციის გეგმები. ასეთი გეგმების ან სხვა გეგმების გამხელა საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ არ არის ჩვეული პრაქტიკის ამბავი. ბაგრატის ტაძარმა, რომელიც UNESCO-ს დაცული ძეგლების სიაშია შეტანილი, და მასთან დაკავშირებულმა სამუშაოებმა, გამოიწვია დიდი საზოგადოებრივი პროტესტი და გახდა საზოგადოებრივი ყურადღების საგანი 2009 წლის შემდეგ. მისი რეაბილიტაციის გეგმები არ იყო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და არც პროფესიონალებს შორის განხილული იმ დროს თუმცა საზოგადოების შეხვედრა შედგა MCMP-ში 2012 წლის ივლისში.

ასევე მოიხსენიება დაგეგმვასთან დაკავშირებული არაადეკვატური ინფორმაციის მიწოდების ან კონსულტაციების მსგავსი საკითხები. ცოტა ხნის წინანდელი შემთხვევა იყო დაკავშირებული გუდიაშვილის მოედანთან, რომელიც ბოლო დროს გახდა ინვესტიციების მოზიდვის ადგილი. რეკონსტრუქციის გეგმებმა, რომელიც ცნობილი გახდა უცხოელი ინვესტორის ვებ-გვერდიდან, გამოიწვია სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების რეგულარული საპროტესტო აქციები. ამ პროტესტებისა და მუნიციპალიტეტისა და ინვესტორისათვის გაგზავნილი წერილის შედეგად, ქალაქის მერიის სამსახურმა საკუთარ ვებ-გვერდზე გააკეთა რამდენიმე განცხადება სადაც ნათქვამი იყო, რომ საკუთრება არ გასხვისებულა და რომ მოედანზე ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებში ჩართული იქნებოდა საზოგადოება. პროექტის პრეზენტაციის მიზნით მერიამ საბოლოოდ მოიწვია კრება სადაც აგრეთვე მიპატიჟებული იყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტები, მაგრამ იქ არ იყვნენ ადგილობრივი თემის ან ფართო საზოგადოების წარმომადგენლები.

3.1.6. წვლილი კულტურის დარგში

- ა. როგორ აღიქვამენ კულტურის დარგის პროფესიონალები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ცნობიერების დონეს კულტურისა და კულტურული საქმიანობის პოტენციურ როლზე სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში, საზოგადოებრივ ერთიანობაში, კონფლიქტების გადაწყვეტასა და კულტურათა შორის დიალოგში.

კულტურის პოტენციური როლი ეკონომიკის განვითარებაში სშირად მოხსენიებულია კულტურული ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით – მაგ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მახლობლად ინფრასტრუქტურის განვითარება. სხვა დარგები, რომლებშიც კულტურას შეუძლია შეიტანოს თავისი წვლილი და იყოს მათში ინტეგრირებული საერთოდ არ არის ნახსენები. სამწუხაროდ არ ტარდება არანაირი კვლევა იმ ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისით, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას კულტურის სფეროსა და კულტურულ მემკვიდრეობაში ინვესტიციების ჩადების შედეგად. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მნიშვნელოვანი ურბანული რეაბილიტაციის პროექტებზე არ ჩატარებულა არანაირი ხარჯისა და სარგებლიანობის ანალიზი.

ცენტრალური მთავრობის დონეზე ნაკლებად ესმით თუ რა ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოიტანოს სათანადოდ შესრულებულმა ურბანულმა სარესტავრაციო პროექტმა. ბოლო დროს განხორციელებული ან მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებისას სიდნაღის, თბილისის, მცხეთის, ბათუმის, ქუთაისის, თელავის ისტორიულ ცენტრებში, ბევრი მემკვიდრეობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტის თვალსაზრისით, დარღვეულ იქნა სარესტავრაციო პრინციპები და ისტორიული ცენტრების აუთენტურობას და მთლიანობას სერიოზული ზიანი მიადგა, ზოგიერთ შემთხვევაში მათი მთლიანად გაქრობის საფრთხეც კი შეიქმნა. შედეგად, ამ პროექტებმა, რომელთა დასაფინანსებლად დიდძალი სახელმწიფო სახსრები დაიხარჯა, მოიტანა მყისიერი, მოკლე ვადიანი შედეგები რომლებიც უბრალოდ დროებით აკმაყოფილებენ მოსახლეობის გემოვნებას თავისი განახლებული ფასადებით. მეორეს მხრივ, გრძელვადიანი შედეგები ამ პროექტებისა შეიძლება იყოს ის, რომ შეუსაბამოდ განხორციელებული კონსერვაციული სამუშაოებისა და ისტორიული და მხატვრული ღირებულებების დაკარგვის შედეგად დაეცემა ამ ისტორიული ადგილების ეკონომიკური ღირებულება და მნახველთა რაოდენობის და სხვა ეკონომიკური ზრდის სხვა ინდიკატორები აღარ იქნება ისეთი მაღალი, როგორც ეს შესაძლებელია ყოფილიყო.

MCMP საკამათოდ მიიჩნევს ზოგიერთი კულტურის სექტორში მომუშავე პროფესიონალის მოსაზრებას, აღნიშნავს რა რომ ისტორიულ ცენტრებში ჩატარებული სამუშაოები ხორციელდება პროფესიონალების მიერ და რომ ბრალდებები თითქოს ადგილი ჰქონდეს არაშესაფერის სარესტავრაციო და საკონსერვაციო სტანდარტებს უსამართლო და უსაფუძვლოა.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ დონეზე არსებობს აღქმა, რომ განსაკუთრებით თბილისის ისტორიულ უბნებში, ინვესტორები დაჟინებით მოითხოვენ ისტორიული ძეგლების “სიდიან ამოღებას”, ძველი შენობების დანგრევას და ინვესტორებისათვის თავისუფლების მიცემას ნაგებობათა სტრუქტურების შესაცვლელად არ ემორჩილებიან რა საყოველთაოდ მიღებულ თანამედროვე კონსერვაციის პრინციპებს. მთავრობას სჯერა, რომ სწორი ინვესტიციები და სრული ლიბერალიზაციის პოლიტიკა მოუტანს ქალაქსა თუ სოფელს განვითარებას, მაშინ როცა ამ იდეის კრიტიკოსებს სჯერათ, რომ ხანდახან არასთანადო ყურადღება ექცევა ძეგლების კულტურულ, ისტორიულ და აუთენტურ ღირებულებებს, რომელთა გონივრულად

გამოყენების შემთხვევაში, ფაქტიურად გაზრდიდა ამ კონკრეტული ან ურბანული ძეგლების ეკონომიკურ ღირებულებას.

ბ. სტატისტიკური მონაცემების, ჩატარებული კვლევისა და ამ სფეროსთან დაკავშირებული ცოდნის ხარისხი და ხელმისაწვდომობა

არ ჩატარებულა არანაირი კვლევა ამ მიმართულებით, ხოლო დისკუსიებს ასეთ თემებზე იშვიათად აქვს ადგილი ან მხოლოდ ახლა იწყება ზოგიერთი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში. შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება კულტურის სამინისტრომ გამოაცხადა პრიორიტეტად 2011 წლისათვის. ის დღესაც პრიორიტეტულია, რადგან სამინისტროს ვებ-გვერდზე, სექციის “პრიორიტეტები” ქვეშ ნათქვამია, რომ დასავლური გამოცდილების შესაბამისად უმჯობესი იქნებოდა გველაპარაკა კულტურის დარგზე, როგორც შემოქმედებითი ინდუსტრიის დარგზე და როგორც ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ სექტორზე.

კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე ნათქვამია: “*შემოქმედებითი ინდუსტრია* ნიშნავს პროდუქტს, რომელიც იქმნება პიროვნების შემოქმედებითი ნიჭისა და უნარების მეშვეობით და დაცულია საავტორო უფლების შესახებ კანონით. ამ პროცესის მიზანია დასაქმების შესაძლებლობების შექმნა.” ამ მიზნით სამინისტრომ მხარი დაუჭირა მცირე ზომის საწარმოს შექმნას, სადაც დასაქმებულია დაახლოებით 40 ხელოსანი, რომლებიც ქმნიან ტრადიციულ სუფრებს რომლებიც შემდგომ იყიდება როგორც სუვენირები. სამინისტრომ დააფინანსა კატალოგის გამოცემა და დაეხმარა საწარმოს მარკეტინგსა და პოპულარიზაციაში.

3.1.7. დამოუკიდებელი და არასამთავრობო სექტორის როლი

ა. არასამთავრობო კულტურის სექტორის პოტენციალისა და მნიშვნელობის (უმნიშვნელობის) აღქმა:

• ცენტრალური ხელისუფლების მიერ

ცენტრალური ხელისუფლება აღიქვამს კულტურის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების როლს როგორც საკმაოდ მნიშვნელოვანს და აცხადებს რომ კულტურის სამინისტროს კარგი ურთიერთობა აქვს მათთან. სამინისტროს ოფიციალური პირის თქმით, დასაფინანსებლად შემოტანილი საპროექტო განაცხადების 30-40% მოდის აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. არსებობს რამდენიმე კულტურის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია, რომელიც უკვე მოღვაწეობს არაერთი ათწლეულია. თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობას ამ სფეროში უჭირს დაფინანსების მოპოვება. არის დაახლოებით ექვსი კულტურული ორგანიზაცია რომელიც ახერხებს იყოს აქტიური და მოიპოვოს საერთაშორისო და ადგილობრივი დონორების დაფინანსება. ეს ორგანიზაციები ახორციელებენ მნიშვნელოვან ინიციატივებსა და საქმიანობას მაგრამ მათი გავლენის დონე სახელმწიფო კულტურის პოლიტიკაზე და საზოგადოებრივ აზრზე არც თუ ისე დიდია.

• ადგილობრივი ხელისუფლების მიერ

თბილისის ადგილობრივი ხელისუფლება კარგად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. რეგიონებში არასამთავრობო სექტორი არც თუ ისე კარგადაა განვითარებული და ადგილობრივი ხელისუფლება პრაქტიკულად არ ენდობა არასამთავრობო ორგანიზაციებს. საკუთარ რეგიონში არასამთავრობოებთან რაიმე სფეროში თანამშრომლობის შემთხვევაში, რეგიონალური მმართველობა როგორც წესი ასეთი თანამშრომლობის თაობაზე რჩევასა და ნებართვას ითხოვს ცენტრალური ხელისუფლებისაგან.

ბ. როგორ აღიქვამენ კულტურის დარგის პროფესიონალები არასამთავრობო კულტურის სექტორის პოტენციალს და მნიშვნელობას (უმნიშვნელობას)

კულტურის დარგის პროფესიონალები ძალიან დადებითად აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციების პოტენციალს.

გ. რეგისტრირებული კულტურის სფეროში მოღვაწე არასამთავრობოების რაოდენობა

არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა და შეფასებაც რთულია.

დ. კულტურის სფეროში მოღვაწე აქტიური არასამთავრობოების რაოდენობა

ჩვენი შეფასებით ორ ათეულზე ოდნავ მეტი ალბათ ახლოა სინამდვილესთან.

ე. კულტურის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი არაკომერციული კულტურული ორგანიზაციების რაოდენობა, რომელშიც 15 ადამიანზე მეტია დასაქმებული

ჩვენი შეფასებით, არსებობს დაახლოებით თორმეტი ასეთი ორგანიზაცია.

3.1.8. კერძო და კომერციული სექტორების როლი

ა. კომერციული კულტურის სექტორის პოტენციალისა და მნიშვნელობის აღქმა:

- ცენტრალური ხელისუფლების მიერ

არ არსებობს სტატისტიკა კომერციული კულტურული ორგანიზაციების მნიშვნელობის შესაფასებლად. არსებული კომერციული კულტურის სფეროებიდან კინო, ტელევიზია და მუსიკა არის ყველაზე უფრო პოპულარული და გავლენიანი. სამინისტროს ოფიციალური პირის მოსაზრებით, ასეთი ორგანიზაციები არ თამაშობენ მნიშვნელოვან როლს.

კომერციული კინო-თეატრები მხარს უჭერენ სახელისუფლებო ინიციატივებს მაგ. თავიანთი ფართების უსასყიდლოდ გამოყოფით სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კინო-ფესტივალებისათვის და ა. შ.

სამაგიეროდ სამინისტრო ცდილობს დაეხმაროს ასეთ კომერციულ სტრუქტურებს უცხოეთში მათთვის პარტნიორების მოძიებით და მათი პროდუქციის პოპულარიზაციით.

- ადგილობრივი ხელისუფლების მიერ
- კომერციული კულტურის დარგის პროფესიონალების მიერ
- არაკომერციული სექტორის პროფესიონალების მიერ

ქართულ კონტექსტში და ამ კვლევის ფარგლებში ძნელია დარწმუნებით განსაზღვროთ თუ როგორი აღქმა აქვთ მათ კერძო და კომერციული კულტურის სექტორებისა. საზოგადოდ მათ ისეთი განწყობა აქვთ, თითქოს კერძო/კომერციული სექტორი უკეთესად ფინანსდება და უფრო დიდი გავლენა აქვს, მიუხედავად იმისა ასეა თუ არა ეს სინამდვილეში.

ბ. რეგისტრირებულ ბიზნესთა რაოდენობა, რომელთა კლასიფიცირებაც შეიძლება როგორც კულტურის დარგის ნაწილისა, ან ნებისმიერი შესაბამისი სტატისტიკა კომერციულ კულტურულ საქმიანობაზე

მონაცემთა მოძიება ვერ მოხერხდა.

გ. კომერციული კულტურის სექტორის ფინანსური ბრუნვა თუ ასეთი არსებობს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში ან ნებისმიერ სხვა საიმედო წყაროში

მონაცემთა მოპოვება ვერ მოხერხდა.

დ. იმ კომერციული კულტურული ორგანიზაციების რაოდენობა, რომელშიც დასაქმებულია 50-ზე მეტი ადამიანი

მონაცემთა მოპოვება ვერ მოხერხდა.

3.1.9. ეროვნული ჩვეულებრივი და ელექტრონული მედია და მიძღვნილი პუბლიკაციების ინტერესი კულტურის საკითხებისადმი

ა. სპეციალიზირებული კულტურის გამოცემების, მათი მკითხველებისა და ტირაჟის რაოდენობა

კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ყოველთვიურად იბეჭდება კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი ჟურნალი “Tbilisi Out”. ის უსასყიდლოდ იგზავნება სხვადასხვა დაწესებულებებში და აგრეთვე იყიდება. მასში მოცემულია ყოველთვიური კულტურული ღონისძიებების კალენდარი. იბეჭდება 5000 ეგზემპლარი. კულტურის სამინისტრო აგრეთვე

აფინანსებს *ლიტერატურულ გაზეთს* რომელიც გამოდის ორ კვირაში ერთხელ და ასევე შესაძლებელია მისი ჩამოტვირთვა *კულტურის სამინისტროს* ვებ-გვერდიდან.

ახალი ჟურნალი სახელწოდებით “ძველი ხელოვნება დღეს” რეკლამირდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე <http://heritagesites.ge/?lang=geo&page=216>.

ეს ახალი, ძვირადღირებული გამოცემა (13.50 ლარი – 6.57 ევრო) განიხილავს კულტურული მემკვიდრეობის ყველა ასპექტს და ასახავს საქართველოში მემკვიდრეობის დაცვის სფეროს თანამედროვე ტენდენციებს, აღმოჩენებს და მიმდინარე პროცესებს.

ბ. კულტურის დარგის პროფესიონალებისათვის შესაფერისი მნიშვნელოვანი და საჭირო “კულტურული ვებ-გვერდების” რაოდენობა

საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით რამდენიმე წლის წინ შეიქმნა სასარგებლო ვებ-გვერდი. მისი განახლება ხდება მუდმივად. თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ამ ვებ-პორტალს www.art.gov.ge, აქვს მონაცემთა ბაზა ხელოვნებაზე, მუზეუმებზე, გალერეებზე და ხელოვნების და კულტურის ორგანიზაციებზე, რომელიც ადვილად მოძიებადია. აქვეა ინფორმაცია ვიზუალური ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ.

გ. არსებული სტატისტიკური მონაცემები ასეთი ვებ-გვერდების გამოყენების ხარისხის საილუსტრაციოდ, მაგ. გვერდის მომხმარებლები და ა. შ.

www.art.gov.ge: გამოყენების სტატისტიკა: 2011 წლის თებერვლიდან 2012 წლის იანვრამდე ვებ-გვერდზე შემოსული იყო 129 774 ადამიანი და განხორციელდა 5 624 995 ლილაკის დაჭერა.

კულტურის სამინისტრო არ აღრიცხავს მის გვერდზე შემოსულებს, მაგრამ მის Facebook გვერდს აქვს 23 141 მოწონება. მისი განახლება ხდება თითქმის ყოველდღიურად <http://www.facebook.com/culturegovge> – ინფორმაციით ღონისძიებათა შესახებ და ახალი ამბებით, რასაც თან ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა.

კულტურის სამინისტროს აქვს აგრეთვე გვერდი Twitter <https://twitter.com/#!/CULTUREgovge>, 212 მოსარგებლით. ის მუდამ აახლებს თავის Flickr გვერდს: <http://www.flickr.com/photos/culturegovge/> მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და მოვლენების ამსახველი ფოტოებითა და ანგარიშებით.

სამინისტროს აგრეთვე გააჩნია საკუთარი Youtube და myvideo არხები <http://www.youtube.com/user/culturegovge>, http://www.myvideo.ge/?user_id=855045, რომლებზეც განთავსებულია სხვადასხვა ღონისძიებათა ამსახველი ვიდეო მასალა, ისე როგორც ისინი გადაცემულ იყო სხვადასხვა მედია საშუალებებით.

დ. კულტურული მოვლენებისა და დებატების გაშუქების დონე ადგილობრივ პრესასა და მედიაში ტიპიური კვირის მაგალითზე (მაგ. სტატიებისა და ჩამონათვალთა რაოდენობა პირითად ყოველდღიურ და ყოველკვირეულ გაზეთებში/ჟურნალებში; კულტურულ მოვლენებთან დაკავშირებული ინტერვიუების, პროგრამების ან მედიაში მათი ხსენების რაოდენობა)

კულტურული მოვლენები საკმაოდ ხშირია და მათ საკმარისი დრო ეთმობა ყოველდღიურ ახალ ამბებში, როგორც ბეჭდვით ასევე ელექტრონულ მედიაში. ყველა არხზე ახალი ამბების გადაცემებში კულტურას ყოველდღიურად ეთმობა გარკვეული დრო, ე.წ. კულტურის ბლოკი, რომელიც აშუქებს კულტურის სფეროს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს.

კულტურის სამინისტროდან მიღებული ბოლო ექვსი თვის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (2011 წლის ივლისი-დეკემბერი) სამინისტრო ახალ ამბებში ფიგურირებდა (ყველა მედია საშუალებაში ჯამურად) 1695 ჯერ. აქედან 933 იყო სატელევიზიო სიუჟეტი, 374 – პრესა, 77- რადიო და 311 - ინტერნეტ არხები. სამინისტროს მიერ განხორციელებული მედია მონიტორინგის თანახმად, 61 % მედია გაშუქებისა იყო ინფორმაციული ხასიათის, 22% - პოზიტიური ან ირიბად პოზიტიური, ხოლო 17% - ნეგატიური ან ირიბად ნეგატიური. ბოლო ექვსი თვის მანძილზე კულტურის მინისტრი და მასთან ინტერვიუები მასმედიაში გავიდა 968-ჯერ, მათ შორის ტელე ეთერში - 541-ჯერ, რადიოთი – 46-ჯერ, პრესაში 219-ჯერ და ონლაინ მედიაში 162-ჯერ. ამავე წყაროს მიხედვით, 2011 წლის ივლისის თვეში, კულტურის სამინისტრო ყველა მედია წყაროს

ახალ ამბებში მოხვდა 195-ჯერ (2.97%), ხოლო 2011 წლის დეკემბერში ეს ციფრი გაიზარდა 335-მდე, რამაც შეადგინა მასშტაბით მთლიანი გაშუქების 5.47%.

თუმცა არიან სხვებიც, რომლებსაც არ მოსწონთ მედიის მიერ გაშუქებები. “პროპაგანდა, არასანდო წყაროები, თემათა ერთფეროვნება, ზედაპირული რეპორტაჟები და სკანდალური ტონი” – არის ის პრობლემები, რომლებზეც ჟურნალისტი ნინო კვირიკაშვილი საუბრობს საქართველოს მედიაში კულტურის საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებულ ანგარიშში: http://www.media.ge/en/stories/journalists_play_the

ეს კვლევა ჩატარდა მედიის განვითარების ფონდის მიერ ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით და ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა. ამ კვლევის შედეგად გამოჩნდა შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:

ტელევიზიების რაოდენობა დარგების მიხედვით. ერთ თვეში მოგროვილი მონაცემები.

არხი	მუსიკა	კინო	მოდა	ვიზუალური ხელოვნება	თეატრი	შოუ ბიზნ.	ფოტოგრაფია	ღია ტელე-ტურა
საზოგადოებრივი მაუწყებელი	21	8	5	5	9	5	3	5
რუსთავი 2	18	8	3	10	1	8	1	4
იმედი	9	11	9	8	4	6	1	
მეგსტრო	5	4	1	4	2			5
კავკასია				1				2

ამ კვლევის დასკვნის მიხედვით, ტელევიზიები შეიცავს დიდი რაოდენობით პროპაგანდას. მათ მიერ გადმოცემული ინფორმაცია იდენტურია. გაშუქების ტონი ხშირად “სენსაციურია” და საკითხები არასოდეს არ შუქდება სიღრმისეულად.

საქართველოში, ყველა სამინისტროს, მათ შორის კულტურის სამინისტროსაც, თავის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებებში ჰყავს ყოფილი მედია ჟურნალისტები, რომლებსაც მედიაში კარგი კონტაქტები აქვთ, ასე რომ ისინი უზრუნველყოფენ, რომ თავიანთ სამინისტროებზე ახალი ამბები შუქდებოდეს მათთვის სასურველი ტელეარხების მიერ და რომ რეპორტაჟები იყოს პოზიტიური. ბევრი ადამიანი კულტურის სექტორიდან იტყობდა, რომ ის ჟურნალისტები, რომლებსაც აგზავნიან კულტურული მოვლენების გასაშუქებლად, არიან ზედმიწევნით ზედაპირული – ისინი უბრალოდ ითხოვენ ინფორმაციას პრესისათვის და იმეორებენ მის ტექსტს. მათ მხოლოდ აინტერესებთ ცნობილი სახეები, ანუ ცნობილი პიროვნებების კომენტარების ჩაწერა.

MCMP-მ განაცხადა რომ ყველა მის მიერ ჩატარებული ღონისძიება გასაშუქებლად ღია ყველა ქართული მედია-არხის მიერ, და არა მხოლოდ “ფავორიტი” არხების მიერ და რომ იგი არ ანიჭებს უპირატესობას რომელიმე მედია წყაროს.

- ე. როგორ აღიქვამენ კულტურული დარგის პროფესიონალები სხვა ცვლილებების ფაქტებს ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში, სპეციალიზირებული მედია საშუალებების ინტერესს კულტურასა და კულტურის საკითხებში ბოლო ორი წლის მანძილზე.

ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა.

3.1.10. კულტურის, მისი მიწოდებისა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული განსხვავებები ქალაქში და სოფლად

ეროვნული ხელისუფლების მიერ ამ სფეროსათვის მინიჭებული მნიშვნელობისა თუ პრიორიტეტის მტკიცებულება (მაგ. პოლიტიკასთან დაკავშირებული განცხადებები, მინისტრთა გამოსვლები, პრესისა და მედიის საშუალებით სერიოზული გაშუქებები).

ქალაქსა და სოფელს შორის დიდი განსხვავებაა, რადგან კულტურულ ღონისძიებათა უდიდესი ნაწილი ტარდება დიდ ქალაქებში. რეგიონებში კულტურული აქტივობის ნაკლებობა და კულტურით უზრუნველყოფისა და მისდამი ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა კარგად ესმის ეროვნულ ხელისუფლებას, მაგრამ ბევრი ვერაფერი კეთდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად. არსებობს კონკრეტული მაგალითები ცალკეული სახელმწიფო პროექტებისა, რომელთა მიზანია რეგიონებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მაგალითად მუზეუმებისა და კულტურული ცენტრების მხარდაჭერით, მაგრამ ეს ინიციატივები უფრო ქაოტური და სპონტანურია, ვიდრე რეგიონების კულტურული განვითარების ეროვნული პროგრამის შემადგენელი ნაწილი.

MCMP-მ შეადგინა იმ 26 ღონისძიების სია, რომელიც დაფინანსდა მისი რეგიონალური პროგრამების დეპარტამენტის მიერ 2012 წელს. ისინი მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან პროექტებს, როგორც ჯაზ კონცერტები და მასტერ კლასები რომლებსაც ატარებდნენ ცნობილი ქართველი მუსიკოსები 24 მუნიციპალიტეტში ასევე მცირე ზომის მოწყობილობა-აღჭურვილობის გადაცემის შერჩეული სკოლებისა თუ ხალხური ანსამბლებისათვის, მაგ. პიანინო ან ორი-სამი კომპიუტერი.

3.1.11. ენობრივი საკითხები.

ამჟამინდელი სტატუსის ცვლილების დინამიკა ორი წლის წინათ არსებულ სიტუაციასთან შედარებით (პოზიტიური/ნეგატიური).

ეროვნულ უმცირესობათა სოციალური და ეკონომიკური პრობლემები ალბათ უფრო გაღრმავდა ცოდნისა და ინფორმაციის/კომუნიკაციის ნაკლებობის გამო. საბჭოთა პერიოდში რუსული იყო კომუნიკაციის მთავარი საშუალება საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, რადგან ქართულის დაწინაურება სულაც არ იყო საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებული ენობრივი პოლიტიკის ინტერესებში, ამიტომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (ე.ი. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები) ვერ ლაპარაკობდა ქართულად.

სახელმწიფო ცდილობს მოაგვაროს ეს საკითხი და აქტიურად არის ჩართული ახალი პროგრამების შემუშავებაში, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო ენის - ქართულის სწავლებისაკენ, რაც დაეხმარება ეროვნულ უმცირესობებს გახდნენ ორენოვანნი.

http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3_FCNMdocs/PDF_1st_SR_Georgia_en.pdf

ქართული არის სახელმწიფო ენა საქართველოში, და აფხაზური არის დამატებით სახელმწიფო ენა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (კონსტიტუციის მე-8 მუხლი).

სახელმწიფო ენის პოლიტიკა რეგულირდება კანონით საჯარო განათლების შესახებ. ამ კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს სწავლების ენას შემდეგნაირად: “სწავლების ენა საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში არის ქართული და ქართული და აფხაზური აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში”.

საქართველოს მოქალაქეებს, რომელთა მშობლიური ენაც არ არის ქართული, უფლება აქვთ მიიღონ ზოგადი განათლება საკუთარ ენაზე, ეროვნული სასწავლო პროგრამის თანახმად და კანონის შესაბამისად. ქართულის სწავლა სავალდებულოა საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხოლო აფხაზეთში სავალდებულოა ორივე ენა.

კანონი საჯარო განათლებაზე იცავს ყველა სტუდენტს იძულების ნებისმიერი ფორმისაგან და ნებას რთავს საკუთარი აზრის გამოხატვისა მშობლიურ ენაზე. 13.6 მუხლში ნათქვამია რომ “სკოლა იცავს და ხელს უწყობს შემწვანარებლობასა და ურთიერთპატივისცემას სტუდენტებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის, მიუხედავად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი თუ სხვა წარმომავლობისა”. მუხლში 13.7 ნათქვამია, რომ “სკოლა იცავს უმცირესობათა ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად გამოიყენონ საკუთარი

მშობლიური ენა და შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული საწყისები საყოველთაო თანასწორუფლებიანობის საფუძველზე”.

ამ ბმულზე http://diversity.ge/files/files/National%20Concept_Eng_ADOPTED.pdf

მოცემულია დოკუმენტი სათაურით “შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია,” რომელიც შეიცავს საინტერესო ინფორმაციას უმცირესობათა კულტურულ საკითხებზე, ენობრივ პროგრამებსა და სხვ.

3.2. შემოქმედება/პროდუქცია და შენარჩუნება/რესტავრაცია

3.2.1. შეფარდებითი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება თანამედროვე კულტურულ შემოქმედებას ეროვნულ კულტურის პოლიტიკასა და პრაქტიკაში (მაგ. დაფინანსება)

ოფიციალური ხელისუფლების მიერ თანამედროვე ხელოვანებით, შემოქმედებით და მწარმოებლებით დაინტერესებისა და მათი მხარდაჭერის მტკიცებულება პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების, საბიუჯეტო თანხების გამოყოფის, პოლიტიკური განცხადებებისა თუ სამინისტრო დონეზე მათი მოხსენიების კუთხით (მაგ. მოხსენიება გამოსვლის დროს)

არ არსებობს თანამედროვე ხელოვნებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტი. კულტურის სამინისტროს დაფინანსება, კულტურული მემკვიდრეობის გამოკლებით, მთლიანად მიმართულია თანამედროვე ხელოვნებაზე. სამინისტრო უკვე დაახლოებით სამი წელია მხარს უჭერს თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმს, ისევე როგორც სხვადასხვა სიმპოზიუმებს ამ თემებზე. სამინისტრო მხარს უჭერს ქართველი ხელოვანების მონაწილეობას ვენეციის ბიენალეზე ყოველ წელს. ის იღებს ასობით ინდივიდუალურ განცხადებას დაფინანსებაზე თანამედროვე ხელოვნების ფესტივალებსა თუ გამოფენებში მონაწილეობის მიზნით, რომელთა უმეტესობასაც სახელმწიფო ვერ აფინანსებს. MCMP-მ 2012 წელს დააფინანსა 49 ინდივიდუალური და ჯგუფური ვიზიტი საზღვარგარეთ.

3.2.2. იმ გარემოს აღწერა, სადაც სხვადასხვა სახის კულტურული თუ მხატვრული შემოქმედება/წარმოება ხდება

ოფიციალური მხარდაჭერის ან მისი არ არსებობის კონკრეტული საილუსტრაციო პოზიტიური ან ნეგატიური მაგალითები

(i) შუკალის გამოყენებით: ძალიან მხარდამჭერი

- მხარდამჭერი
- არც მხარდამჭერი არც ნეგატიური
- რთული
- მტრული

სახელმწიფო მხარს უჭერს კულტურულ შემოქმედებას, მაგრამ დახმარების მასშტაბები ძალიან მცირეა კულტურის სფეროში მოღვაწე შემოქმედთა რაოდენობასთან შედარებით ქვეყანაში. მხარდაჭერა ხორციელდება კულტურის სამინისტროს საშუალებით ან ხანდახან თვით პრეზიდენტის ფონდის საშუალებითაც.

(ii) წარმომადგენლობითი პრაქტიკოსების მიერ მათი შემოქმედებითი და სამუშაო გარემოს აღქმა

ზოგადი შემოქმედებითი გარემოს რანჟირება შესაძლებელია 3-დან 4-მდე. დამწყები ხელოვანებისათვის გარემო საკმაოდ რთულია, რადგან მწირია მათი ხელოვნების გამოფენის და მათი შეფასების მიღების შესაძლებლობები. რადგან ფაქტიურად არ არსებობს ბაზარი თანამედროვე ხელოვნებისათვის, ძალიან ძნელია იცხოვრო მხოლოდ იმით, რომ ხელოვანი ხარ.

3.2.3. შემოქმედებითობა

- ა. შემოქმედებითობის თემაზე ან ”შემოქმედებითი ეკონომიკის” კონცეფციაზე არსებული პოლიტიკის დოკუმენტები, განცხადებები ან ოფიციალური განცხადებები

ერთადერთი რისი მოყვანაც აქ შეიძლება არის “შემოქმედებითი ინდუსტრია” რაც აღნიშნულია როგორც კულტურის სამინისტროს წლიური პრიორიტეტი (იხ. ზემოთ).

- ბ. კულტურის სფეროში მოღვაწე პროფესიონალების მიერ შემოქმედების საკითხების ზოგადად და ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში გაშუქების დონის აღქმა (მაგ. დიდი ინტერესი/საკმაოდ სერიოზული ინტერესი/ უმნიშვნელო ინტერესი/ არანაირი ინტერესი)

მათი აზრით ალბათ იქნება უმნიშვნელო ინტერესი.

3.2.4. მემკვიდრეობა

- ა. მემკვიდრეობასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული მიმდინარე ძირითადი საკითხები

- ოფიციალური ხელისუფლების მიერ მაგ. კულტურის სამინისტროს ან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის;
- მომუშავე სპეციალისტების აზრით;
- სამოქალაქო საზოგადოების / თემის, მათ შორის უმცირესობების აზრით.

სახელმწიფომ განსაკუთრებული აქცენტი გადაიტანა მემკვიდრეობაზე. 2004 წლის შემდეგ სარესტავრაციო სამუშაოების დაფინანსება მკვეთრად გაიზარდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა განიხილება როგორც ეროვნული სიამაყის საკითხი, ისევე როგორც კულტურული ტურიზმის გაფართოების საშუალება. ქვეყნის მოდერნიზაციის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მნიშვნელოვანი რეაბილიტაციის პროექტები ისტორიულ ქალაქებსა და დასახლებებში. მუნიციპალურ ხელისუფლებას არ გააჩნია არც უფლებამოსილება და არც სახსრები რათა განახორციელოს სამუშაოები მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზნით.

არსებობს გარკვეული შეუსაბამობა საკანონმდებლო დონეზე, რადგან კულტურული მემკვიდრეობის კანონში ნათქვამია, რომ ადგილობრივ მმართველობას ასევე გააჩნია უფლებანი და მოვალეობანი მემკვიდრეობის კუთხით, მაშინ როცა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონში ამაზე არაფერი არ არის ნათქვამი.

ადგილობრივი მმართველობის დონეზე, მუნიციპალურ საბჭოებს არ გააჩნიათ ერთეული, რომელიც დაკავებული იქნებოდა მემკვიდრეობისა ან კულტურის საკითხებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალური ხელისუფლების/რწმუნებულების პასუხისმგებლობათა ჩამონათვალში ნათქვამია მხოლოდ, რომ მათ უნდა “საკუთარ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ინსპექტირება ჩაუტარონ კულტურული თუ ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლებს და შეატყობინონ შესაბამის უწყებებს”.

თემთა ჯგუფები, განსაკუთრებით უმცირესობათა ჯგუფები, ყოველთვის ვერ გრძნობენ რომ მათი ინტერესები ასახულია სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მემკვიდრეობის პოლიტიკაში. ბოლო პერიოდში იყო შემთხვევები, როცა ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფთა ინტერესები და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლებები ირღვეოდა, როდესაც უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ იყო შეტანილი რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამებში. ორი სომხური ეკლესიის მდგომარეობის გაუარესების მაგალითი, რაც გამოიწვია დაუდევარმა მოპყრობამ და კონსერვაციის დაბალმა დონემ, განხილულ იქნა ომბუდსმენის ანგარიშში: <http://www.ombudsman.ge/index.php?page=21&lang=1>

“შემწვნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის“ დოკუმენტი განიხილავს საქართველოში მცხოვრები უმცირესობების უფლებებს მემკვიდრეობასა და საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. ოფიციალური ეროვნული მემკვიდრეობის პრეზერვაციის პოლიტიკა არ ასხვავებს ძეგლებს იმის მიხედვით არის ისინი თუ არა კავშირში ეროვნულ უმცირესობებთან. როგორც მაგალითი, MCMP-მ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან და ეროვნულ მუზეუმთან ერთად 2012 წელს ჩაატარა სამუშაო უმცირესობათა ძეგლებზე, რაც მოიცავდა სამ ეკლესიას, ორ სინაგოგას და მეჩეთს. ამასთან ერთად, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა რამოდენიმე მუსლიმანურ ძეგლს ქვემო ქართლის რეგიონში.

- ბ. სამოქალაქო საზოგადოების და/ან თემის ჯგუფის ოფიციალურად ან არაოფიციალურად ნებისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართულობის დონე ნებისმიერი არსებული შესაბამისი მტკიცებულების მოშველიებით (რეგისტრირებული ან ცნობილი ჯგუფების/საზოგადოებების რაოდენობა, პროექტების/ადგილების რაოდენობა, შესაბამისი ცნობის ფურცლების, ვებ-გვერდების არსებობა და ა.შ.)

თემის/სამოქალაქო საზოგადოების მემკვიდრეობის საკითხებში ჩართულობის დონე შეიძლება აღწერილ იქნეს როგორც საკმაოდ დაბალი. ამის მიზეზია უამრავი სხვა სოციალური პრობლემის არსებობა, მაღალი უმუშევრობის დონე, ისევე როგორც მოტივაციის ნაკლებობა საზოგადოებრივი აქტიურობისათვის რომლის ფესვებიც საბჭოთა წარსულშია გამჯდარი. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მსხვილმასშტაბიანი მემკვიდრეობის რესტავრაციის პროექტები ადგილს არ ტოვებს საზოგადოებრივი მონაწილეობისათვის. ეს პროექტები ზოგადად ხორციელდება დიდი სისწრაფით და გაუმჭვირვალედ. თემთა მონაწილეობა შეინიშნება ადგილობრივი მრეველის ჩართულობის ფორმით ადგილობრივი ეკლესიების რესტავრაციისათვის ჩატარებულ ფიზიკურ სამუშაოებში, და უფრო მეტად ახალი ეკლესიების აშენებისას.

ძალიან კარგი მაგალითი და დღემდე მხოლოდ ერთი თემზე დაფუძნებული ძეგლის კონსერვაციის პროექტისა არის “ბეთლემის უბნის თემზე დაფუძნებული რევიტალიზაციის პროექტი” რომელიც ხორციელდებოდა ICOMOS საქართველოს მიერ ბოლო ათი წლის განმავლობაში: <http://icomos.org.ge/betlemi/betlemi3/index.htm>

პროექტმა თანდათანობით აიყოლია თემები, რომლებიც ცხოვრობენ თბილისის ბეთლემის ისტორიულ უბანში. სამეზობლოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, ქმნიდნენ სახლის მფლობელთა კავშირებს ხოლო ზოგიერთი მათგანი პროექტმა დაასაქმა ფიზიკური სამუშაოების შესასრულებლად. პროექტმა ხელი შეუწყო უბნის ფესტივალის – ბეთლემის ფესტივალის დაარსებას, რომელიც უკვე სამი წელიწადია ერთი და იმავე დროს იმართება და მთლიანად ხორციელდება თემის წევრების მიერ.

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციამ სახელწოდებით *ტვილისის პამქარი* – თბილისზე მზრუნველთა კავშირი, უკანასკნელ პერიოდში აქტიურად ჩართო თემთა ჯგუფები იმ მემკვიდრეობის რესტავრაციის მცდარი ზომების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებსაც იღებს თბილისის მუნიციპალიტეტი: <http://www.hamkari.ge/index.php/en/about-us/history>. ეს არის წევრობაზე დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია – კავშირი, რომელიც ცდილობს მოიძიოს დონორთა დაფინანსება რათა განახორციელოს თემში ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების კამპანიები რათა დაიცვას თბილისის ისტორიული უბნების ავთენტურობა.

მემკვიდრეობის დასაცავად სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის ძალიან ეფექტური მაგალითია კამპანია “გადავარჩინოთ ბაგრატის ტაძარი” რომელიც განხორციელდა 2009 წლის შემოდგომაზე. <http://www.causes.com/causes/342154-save-bagrati-cathedral>

კამპანია დაიწყო Facebook-ში და შეგროვდა 8 000-ზე მეტი ხელმოწერა მე-11 საუკუნის ტაძარზე რომელიც შედის UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, შეუსაბამო ინტერვენციების წინააღმდეგ გამართული კამპანიის მხარდასაჭერად. ამ კამპანიამ მალევე მოიპოვა საზოგადოების ყურადღება და ის გადიოდა ეთერში როგორც მთავარი ახალი ამბავი ერთი კვირის მანძილზე. თუმცა MCMP-ს მოსაზრებით, კამპანია იყო პოლიტიკურად ანგაჟირებული. საზოგადოებრივი აქტიურობის წყალობით სარეკონსტრუქციო სამუშაოები შეჩერდა. მიუხედავად იმისა რომ ეს სამუშაოები განახლდა მოგვიანებით, ამ კამპანიამ ითამაშა დადებითი როლი და ეს იყო პირველი შემთხვევა საზოგადოების ფართო-მასშტაბიანი აქტიურობისა კულტურის სფეროში.

კიდევ ერთი მაგალითი საზოგადოებრივი აქტიურობისა არის ძველ თბილისში გუდიაშვილის მოედნის და მასზე არსებული ძეგლების გადასარჩენად გამართული კამპანია: <http://savegudiashvili.com/>.

კიდევ ერთი ბოლო დროს დაარსებული ახალგაზრდული კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაცია არის “კულტურული მემკვიდრეობის არასამთავრობო მონიტორინგი” რომლის მიაზანია ინფორმაციის მოგროვება დაზიანებულ მემკვიდრეობის ობიექტებზე და ადგილებზე და თანამშრომლობა პასუხისმგებელ უწყებებთან. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია იყენებს თავისი ფეისბუკის გვერდებს ფოტოების და კომენტარების გამოსაქვეყნებლად.

3.2.5. სარესტავრაციო რესურსები და შესაძლებლობები

- ა. ტრენინგების რაოდენობა, ტიპი და შედეგები ან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და მუზეუმებსა და მემკვიდრეობის დარგში მომუშავე რესტავრატორებისათვის მათი უზრუნველყოფა

პროფესიონალი ადამიანური რესურსების ნაკლებობა მემკვიდრეობის კონსერვაციის დარგში არის დარგის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა. ეს თავის მხრივ გამოწვეულია იმ უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების დაწესებულებების ნაკლებობით, რომლებიც სთავაზობენ ცოდნის მიღების შესაძლებლობას მემკვიდრეობის კონსერვაციისა და მართვისათვის აუცილებელ სხვადასხვა დისციპლინაში.

თუმცა არსებობს გარკვეული გამონაკლისებიც. თბილისის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო აკადემიაში გახსნილია რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დეპარტამენტი, www.art.edu.ge

რომელსაც აქვს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეები. ბაკალავრიატის დონის კურსები მოიცავს: ხელოვნების ისტორიას, კულტუროლოგიას, არქიტექტურის რესტავრაციას, სახვითი ხელოვნების ნიმუშების რესტავრაციას. მაგისტრატურის დონე მოიცავს: არქიტექტურის რესტავრაციას, არქეოლოგიური ნიმუშების რესტავრაციას (მინა, კერამიკა, ლითონი), ხატების რესტავრაციას, ფერწერის რესტავრაციას, მონუმენტური ხელოვნების ნიმუშების რესტავრაციას. სადოქტორო პროგრამა არის მემკვიდრეობის კონსერვაციაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გვთავაზობს მაგისტრატურის კურსს სახელწოდებით კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა, რომელიც შეიცავს 3 ძირითად მოდულს: ძველი ხელოვნება, ახალი და თანამედროვე ხელოვნება და მუზეუმმცოდნეობა www.tsu.edu.ge. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გვთავაზობს ბაკალავრიატის კურსს კულტურის მენეჯმენტში, უმაღლესი საგანმანათლებლო პროფესიული სწავლების კურსს ძველთა რეაბილიტაციისა და პრეზერვაციაში (არქიტექტურული მემკვიდრეობა, ხატები, ქვის, ხის და ლითონის ნივთები) და მაგისტრატურის კურსს – ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის კვლევა და კულტურის მენეჯმენტი:

http://www.iliauni.edu.ge/index.php?sec_id=849&lang_id=ENG

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი გვთავაზობს ხელოვნების ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხის პროგრამებს ხელოვნების ისტორიაში, მასობრივ კომუნიკაციაში, ხელოვნების მენეჯმენტში, კულტურულ ტურიზმში, თეატრის კვლევაში, კინოს კვლევაში, ტელემედიაში - თეორია და პრაქტიკა. იგი აგრეთვე გვთავაზობს სადოქტორო პროგრამებს მედიის კვლევაში, ხელოვნების ისტორიისა და ხელოვნების მენეჯმენტში: http://www.tafu.edu.ge/ge_xelovneba_about.php?menu=xelovneba

GIPA – საზოგადოებრივი საქმეების ქართული ინსტიტუტი გვთავაზობს სასერთიფიკატო პროგრამას კულტურის პოლიტიკაში, რომელიც შედგება შემდეგი ძირითადი თემებისაგან: ურბანული კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი, სამუზეუმო მენეჯმენტი, კინოს მენეჯმენტი, და არამატერიალური კულტურის მენეჯმენტი: <http://www.gipa.ge>

- ბ. რამდენად აკმაყოფილებს მომზადებული რესტავრატორების მიწოდება მოთხოვნას მათზე და როგორ აღიქვამს ამას შესაბამისი პერსონალის მცირერიცხოვანი, მაგრამ წარმომადგენლობითი ნაწილი (სამინისტროს ოფიციალური პირები, მუზეუმის დირექტორები, მემკვიდრეობის საკითხების დამკვეთები).

მიუხედავად იმისა რომ მიწოდება საკმაოდ მაღალია და აღემატება მოთხოვნას, შესაბამისი ოფიციალური პირები ფიქრობენ, და ალბათ გამართლებულად, რომ კარგად მომზადებული პროფესიონალების ნაკლებობაა. ზემოთ ნახსენები კურსები ვერ უზრუნველყოფს მაღალი დონის პრაქტიკულ მომზადებას. ძოვად, უმაღლესი განათლების დონე ხანდახან საკმაოდ დაბალია და იგივეს თქმა შეიძლება კულტურის სექტორში განათლებისა და მომზადების დონეზე.

- გ. რამდენად აინტერესებს ან აღელვებს ნებისმიერ ქვემოთამოთვლილ პირს (მაგ. კულტურის მინისტრი, მუზეუმების დირექტორები, მემკვიდრეობის დამცემეზღვეები). რესტავრატორების მომზადების დონე (მაგ. მომზადების ხარისხი, ტრენინგების გაგლის შესაძლებლობა).

დეკლარაციულ დონეზე, მემკვიდრეობის დარგში მომუშავე პროფესიონალებისათვის კვალიფიციური ტრენინგების საჭიროება აღიარებული და გააღწერილია, მაგრამ ამ მიმართულებით კვლავაც ნაკლებია კოორდინირებული ქმედება. ბევრს აინტერესებს და აღელვებს კიდევ ეს პრობლემა მაგრამ იგი არ არის მაღალპრიორიტეტული და არ უკავია პირველი ადგილი დღის წესრიგში.

ცალკეული პროფესიონალების მომზადება ხშირად ხდება მუზეუმებს შორის პარტნიორობების ფარგლებში ან სხვადასხვა მუზეუმების თანამშრომელთათვის ICCROM-ის სტიპენდიების ფარგლებში, მაგრამ ისინი მოიცავს ძალიან დაბალ პროცენტს იმ პროფესიონალებისა, რომლებიც საჭიროებენ მომზადებას და რომლებზეც არსებობს მოთხოვნა. საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან, *სმიტსონიანის ინსტიტუტთან* დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, რამოდენიმე რესტავრატორმა (ქვის, არქეოლოგიური მასალი, რკინის) გაიარა სწავლება *სმიტსონიანის* სარესტავრაციო ცენტრში, მაშინ როცა რამოდენიმე ხის მასალათა სპეციალისტმა გაიარა ტრენინგები ნორვეგიული დაფინანსების საშუალებით და *ლილეკაპერის მაიპაუგენის მუზეუმთან* თანამშრომლობის ფარგლებში.

მიმდინარე Twinning (დაძმობილების) პროექტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და *პრუსიული კულტურული მემკვიდრეობის ფონდს* შორის აგრეთვე მოიცავს მუზეუმის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კომპონენტსაც. UNESCO-ს მიერ დაფინანსებული პროექტები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში აგრეთვე მოიცავდა კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ მიმართულ სხვადასხვა ღონისძიებებს, ისეთ სფეროებში როგორცაა მაგ. ხის კონსერვაცია, კინო-ფირებისა და ფოტო კოლექციების კონსერვაცია.

3.2.6. UNESCO-ს კონვენცია კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების დაცვისა და პოპულარიზაციის შესახებ

- ა. ცნობიერების დონე თქვენს ქვეყანაში (შეფასებული შეზღუდული კითხვარი/ინტერვიუს მეთოდით შესაბამისი კულტურის მენეჯერების, დაგეგმვისა და კულტურის დარგში მომუშავე მცირერიცხოვანი წარმომადგენლობითი ჯგუფის მიერ)

ძალიან დაბალი.

- ბ. კულტურის სამინისტროს მიერ მოყვანილი მაგალითები, როდესაც მათ მიერ კონვენციაზე ხელის მოწერამ დააწვებინა მათ ისეთი სახის საქმიანობა, რომელსაც ისინი თავისთავად არ განახორციელებდნენ.

საქართველომ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 2008 წელს. 2009 წლის UNESCO-ს გენერალურ კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს მიერ კონვენციის რატიფიკაციაზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პრაქტიკული გაგებით კონვენცია არც თუ ისე მნიშვნელოვნადაა წარმოჩენილი MCMP-ს გეგმებში მას შემდეგ, თუმცა ისინი აცხადებენ რომ იუნესკოს საქართველოს ეროვნულ კომისიასთან ერთად ისინი აპირებენ შექმნან ექსპერტთა ჯგუფი რათა შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა კონვენციის განსახორციელებლად და პერიოდული ანგარიშების მოსამზადებლად.

- გ. რამდენჯერ იყო ნახსენები ეს კონვენცია ოფიციალურ პოლიტიკურ დოკუმენტებსა თუ განცხადებებში.

კულტურის სამინისტრომ ვერ მოგვაწოდა ვერანაირი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით. შესაძლოა რომ ამ კონვენციის რატიფიკაცია მოხდა ძალიან სწრაფად და კულტურის სამინისტროს არც კი ჰქონია კონკრეტული გეგმა მისი განხორციელებისათვის. კულტურის სამინისტროში არ არსებობს კონკრეტული ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელია ამ საკითხზე. საქართველოს UNESCO-ს ეროვნულ კომიტეტსაც არ გააჩნია არანაირი ინფორმაცია და რადგან განხორციელების ანგარიში ძალიან უნდა წარედგინოს UNESCO-ს, მათაც თხოვნით მიმართეს კულტურის სამინისტროს მიაწოდონ მათ განახლებული ინფორმაცია კონვენციის შესახებ.

3.3. კულტურის მიწოდება/ კვლევა / პროფესიული მომზადება და ცოდნის გადაცემა / გავრცელება / კავშირის შესაძლებლობა / დიგიტალიზაცია

3.3.1. ზოგადი გარემო

- ა. ხელოვნების კვლევაში ჩართული დაწესებულებების, ორგანიზაციების ან სხვ. რაოდენობა, ტიპი, ზომა და ჩამონათვალი.

ორი ძირითადი დაწესებულებაა: ქართული ხელოვნების ისტორიისა და მემკვიდრეობის პრეზერვაციის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული კვლევითი ცენტრი (http://gch-centre.ge/index.php?id_pg=1) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების კვლევის ინსტიტუტი, რომელიც აწარმოებს კვლევას რამდენიმე აკადემიურ სფეროში, მაგ. საშემსრულებლო ხელოვნების თეორიასა და პრაქტიკაში, მათ შორის დრამატურგიასა, რეჟისურაში და სხვ. ისევე როგორც კინო და მედია კომუნიკაციებში, კულტურის მენეჯმენტში, კულტურის პოლიტიკაში.

საქართველოს ხელოვნების ისტორიისა და მემკვიდრეობის შენარჩუნების გ. ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული კვლევითი ცენტრი დაარსდა 2005 წელს, ქართული ხელოვნების ისტორიის გ. ჩუბინაშვილის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის ძეგლთა ფოტოგრაფირების ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე. ეს ცენტრი ექვემდებარება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. ამ ცენტრის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს თანამედროვე და უძველესი ქართული ხელოვნების შესწავლა ისევე როგორც სხვადასხვა წარმოშობის ხელოვნების ნიმუშებისა, რომლებიც დაცულია საქართველოს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. არქიტექტურისა და სკულპტურის ცალკეულ ძეგლთა, კედლის მხატვრობისა და დაზღუდილი ფერწერის, გრაფიკული ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნებისა და ა.შ. ისევე როგორც სხვადასხვა კულტურული მიმართულებების და მოძრაობების კვლევა ხდება ხელოვნების ისტორიის ქართული სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე და აგრეთვე ამ სფეროში მსოფლიო მასშტაბის გამოცდილების გათვალისწინებით.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და შენარჩუნების პრობლემებზე ზრუნვა ცენტრის საქმიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. აგრეთვე მნიშვნელოვანია მემკვიდრეობის შენარჩუნების როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო გამოცდილების პოპულარიზაცია, პრაქტიკული რეკომენდაციებისა და თეორიული ცოდნის შემუშავება, უკანასკნელი მიღწევებისა და ტენდენციების კრიტიკული განხილვა და პოზიტიური ინოვაციების გავრცელება პროფესიულ წრეში.

ცენტრი აგრეთვე აწარმოებს სისტემატიურ აღრიცხვას (აზომვა, ფოტო და ვიდეო დოკუმენტაცია და ა. შ.) მოძრავი და უძრავი მემკვიდრეობის და ხელოვნების ნიმუშების და ფლობის ვიზუალური მასალების არქივებს.

გარდა სამეცნიერო პუბლიკაციებისა იგი საზოგადოებას უზრუნველყოფს წიგნებით, ალბომებით, ბროშურებით, და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემებით, რომლებიც გამიზნულია განსხვავებული ინტერესების მქონე მკითხველისათვის.

ცენტრს ახლო კონტაქტები აქვს უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან – ცენტრის ბევრი თანამშრომელი არის ხელოვნების ისტორიის პროფესორი ან ლექტორი, ხოლო ცენტრის ბიბლიოთეკა და არქივები ყოველთვის ხელმისაწვდომია მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის. ცენტრი აგრეთვე ახორციელებს სარესტავრაციო ძეგლების შესწავლას ხელოვნების ისტორიის კუთხით და უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ ზედამხედველობას, მიმდინარე სამუშაოთა შეფასებასა და მონიტორინგს. (ციტირებულია ვებ-გვერდიდან: http://gch-centre.ge/index.php?id_pg=1)

- ბ. კულტურის სფეროში მოღვაწე ახალგაზრდა პროფესიონალების (35 წლამდე) მიერ კულტურის და ხელოვნების კრიტიკის დონისა და დებატების აღქმა შეზღუდული მაგრამ წარმომადგენლობითი ინტერესის მეთოდის გამოყენებით

კულტურის სფეროში მოღვაწე ზოგიერთი პროფესიონალი თვლის, რომ ხანდახან ადგილი აქვს ხელოვნებისა და კულტურის კრიტიკას, მაგრამ მასში ჩართულნი არიან მხოლოდ თვითონ კრიტიკოსები და არ მუშავდება რეკომენდაციები, რაც წვლილს შეიტანდა კულტურის მდგომარეობის გამოსასწორებლად.

იყო გარკვეული მცდელობა ცალკეული ადამიანებისაგან კულტურული დებატებისათვის პლატფორმის შექმნისა, მაგრამ ასეთი დებატების ინიციატორები თანამშრომლობდნენ ადამიანების მხოლოდ ვიწრო წრესთან, მაშინ როცა აუცილებელია უფრო ფართო პლატფორმის შექმნა, სადაც ჩართული იქნება დაინტერესებულ პირთა უფრო დიდი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან სხვადასხვა დისციპლინების და დაწესებულებების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოებასა, სახელმწიფო და სხვა სექტორებთან ერთად.

3.3.2. პროფესიული მომზადება

- ა. ხელოვნებისა და კულტურის დარგში პროფესიული განათლების უზრუნველყოფის დონე და ხარისხი კულტურის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად.

იხ. 3.2.5. ა.

- ბ. ცნობილი საერთაშორისო კავშირების რაოდენობა ამ სფეროში მაგ. Erasmus-ის ტიპის კავშირები

ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.

3.3.3. ინტერნეტის გამოყენება და კავშირის საშუალებანი

- ა. ნებისმიერი არსებული სტატისტიკა ინტერნეტის გამოყენებასა და კავშირის საშუალებებზე.

<http://www.internetworldstats.com/stats3.htm> თანახმად საქართველოში არის 1,300,000 ინტერნეტ მომხმარებელი, რაც შეადგენს მოსახლეობის 28.3%-ს. Facebook-ი არის ძალიან პოპულარული საზოგადოებრივი ქსელი, რომელზეც დარეგისტრირებულია 725,160 მომხმარებელი საქართველოში. 1.3 მილიონი მომხმარებელიდან მხოლოდ 150,000 იყენებს მაღალი სიჩქარის კავშირს (broadband).

- ბ. ინტერნეტში ჩართულობის ღირებულება ადგილობრივ შემოსავლებთან მიმართებაში
 - სახლში
 - ინტერნეტ კაფეში

ინტერნეტ კავშირის საფასური სახლში (თბილისში) მერყეობს 15 ლარიდან (7.3 ევრო) 120 ლარამდე (58 ევრო). ყველაზე დაბალი ფასი -15 ლარი (7.3 ევრო) თვეში, დაყენების ღირებულებით 30 ლარი (14.6 ევრო) შეადგენს 1 მბ/წ სიჩქარის ინტერნეტის ღირებულებას. იგივე პაკეტი ღირს 30 ლარი (14.6 ევრო) თვეში რეგიონებში, თანაც მხოლოდ იქ, სადაც არსებობს სატელეფონო ხაზები.

თბილისში ბევრი ინტერნეტ კაფეა და ინტერნეტის ერთი საათით მოხმარება ღირს კაფეში 1 ლარი (0.5 ევრო). Freedom House -ის ანგარიშის თანახმად ინტერნეტის საშუალო ღირებულება თვეში დაახლოებით 20 ევროა. 1მბ/წმ სწრაფი ინტერნეტის მინიმალური გადასახადი არის 8 ევრო.

ინტერნეტ კავშირი მობილურ საშუალებებზე კვლავაც ძალიან ძვირია, ასე რომ ცოტა ადამიანი თუ იყენებს მას.

ინტერნეტ მომხმარებლების 55% ინტერნეტს იყენებს სახლში, 21% იყენებს მეგობრების კომპიუტერიდან, 9% - სამსახურში, 6% - მობილური საშუალებებიდან და 6% ინტერნეტ კაფეებში. ბევრ სასტუმროში, კაფეში, კინოთეატრში და რესტორანში, ისევე როგორც ზოგიერთ პარკში თბილისის ცენტრში ხელმისაწვდომია უფასო უკაბელო ინტერნეტ კავშირი.

- გ. ნებისმიერი არსებული სტატისტიკა ან ინფორმაცია, რომელიც უჩვენებს ინტერნეტ კავშირის ზრდის ტემპებს

2008 წელს საქართველოში იყო 360.000 ინტერნეტ მომხმარებელი, მოსახლეობის სულ 7.8%. 2000 წლის ბოლოს სულ იყო ინტერნეტის 20,000 მომხმარებელი, მაგრამ 2011 წელს მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა 1.3 მილიონამდე. დღეს საქართველოში 19 ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელია.

- დ. რაიმე სტატისტიკა, ინფორმაცია ან ფაქტები “ციფრულ უთანასწორობა“-ზე (მაგ. მდიდარი-ღარიბი, ქალაქად-სოფლად მცხოვრები)

არანაირი ინფორმაცია.

- ე. ნებისმიერი არსებული სტატისტიკა, შეფასება ან კვლევა კულტურულ სფეროში ინტერნეტის გამოყენებასა და მის ტენდენციებზე

არანაირი მონაცემი.

3.3.4. დიგიტალიზაციის (ციფრულ ფორმატში გადაყვანის) პროექტები

ოფიციალური მხარდაჭერით განხორციელებული მნიშვნელოვანი დიგიტალიზაციის პროექტების რაოდენობა და საილუსტრაციო ჩამონათვალი (მაგ. ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა, ეროვნული მუზეუმების კოლექციების დიგიტალიზაცია, ვირტუალური გამოფენები ეროვნული კოლექციების ან არქივების გამოყენებით და ა. შ.).

არ არსებობს ფართომასშტაბიანი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტები, რომელთა მიზანია რომელიმე კოლექციის დიგიტალიზაცია. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ნაწილობრივ ეხმარება ხელნაწერების ეროვნულ ცენტრს, მის მიერ განხორციელებული დიგიტალიზაციის პროცესში. ლიტერატურის მუზეუმმა აგრეთვე მოამზადა არქივების დიგიტალიზაციის პროექტი და ეძებს დამფინანსებელს, მაგრამ სამინისტრო დღეს არ არის იმ მდგომარეობაში, რომ მას დაეხმაროს.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ჰქონდა მცირემასშტაბიანი პროექტები, რომელთა მიზანი იყო იქ არსებული კოლექციის ნაწილების დიგიტალიზაცია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერმაკოვის ფოტო-კოლექცია გადაყვანილ იქნა ციფრულ ფორმატში ჰოლანდიური ფონდის მიერ დაფინანსებული Horizon Foundation ფართომასშტაბიანი პროგრამის ფარგლებში, რომელიც 10 წელზე მეტია მიმდინარეობს. ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიული ფოტოების და ფილმების კოლექციის პროგრამა რომელიც დაფინანსდა UNESCO-ს მიერ აგრეთვე მზად არის დიგიტალიზაციისათვის, რისთვისაც შექმნილ იქნა სპეციალური მოწყობილობა. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელსაც გააჩნია ფილმებისა და აუდიო მასალების უნიკალური საცავი ასევე ძლიერ საჭიროებს მისი ბრწყინვალე არქივების, რომლებიც ნადგურდება არასათანადო მოვლისა და დაცვის გამო, დიგიტალიზაციას. აქამდე ვერ მოხდა სათანადო თანხების მოძიება ამ მიზნით.

3.4. ხელმისაწვდომობა და განათლება

3.4.1. ხელმისაწვდომობა

- ა. კულტურის ხელმისაწვდომობის ნებისმიერ ასპექტზე ოფიციალურ დონეზე ნებისმიერი პოლიტიკის უზრუნველყოფის ან დისკუსიის ნებისმიერი საილუსტრაციო მაგალითები (მაგ. კულტურულ უფლებები, კულტურულ და ხელოვნების ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების ფასები და ა.შ.).

კულტურის ხელმისაწვდომობის თემაზე პოლიტიკის შემუშავების კუთხით განხილვა არ ყოფილა. რასაც სახელმწიფო აკეთებს არის, ის, რომ ის აფინანსებს თეატრებს, მუზეუმებს და ბიბლიოთეკებს ამცირებს რა ამით შესასვლელი ბილეთების ღირებულებას, რომელიც სხვა შემთხვევაში უფრო მაღალი იქნებოდა. შედეგად, უმეტეს მუზეუმთა ბილეთების ფასები ხელმისაწვდომია საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის. ბავშვებისათვის და სტუდენტებისათვის ყველა მუზეუმში შესასვლელი ფასები დაბალია. დედაქალაქში ბევრი თეატრია და მათში ბილეთების ფასები განსხვავდება. მაშინ როცა უმეტესობა შედარებით ძვირია – არც თუ ადვილად ხელმისაწვდომი საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახისათვის, არის რამოდენიმე, მათ შორის პატარა კერძო თეატრები, რომლებიც ბილეთებს ძვირად არ ყიდნიან. სახელმწიფო აფინანსებს სულ მცირე 2-3 მასშტაბურ სადღესასწაულო კონცერტს ღია ცის ქვეშ, რომელზეც დასწრება უფასოა ყველასათვის. ასეთი კონცერტები ტარდება ახალ წელს, დამოუკიდებლობის დღეს და თბილისობაზე (თბილისის დღესასწაული) ძირითადად თბილისში. თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში ასეთი კონცერტები ხშირად ტარდება ბათუმში და სხვა რეგიონალურ ცენტრებში, კერძოდ ზუგდიდში, გორში, ქუთაისსა თუ სხვ.

შემდეგი ვებ-გვერდი გეთავაზობს გარკვეულ ინფორმაციას კულტურის მოხმარებასთან დაკავშირებით:

http://stats.uis.unesco.org/unesco/TableViewer/document.aspx?ReportId=124&IF_Language=eng&BR_Country=2720&BR_Region=40505

უმცირესობათა მიერ კულტურაზე ხელმისაწვდომობის საკითხი გაშუქებულია “შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის” ფარგლებში.
<http://diversity.ge/eng/concept.php>

2004 - 2008 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის შესაყებ საქართველოს კანონის კონტექსტში უზრუნველყოფილ იქნა ეთნიკური უმცირესობების კულტურის სერიოზული მხარდაჭერა და აქცენტი გაკეთდა თერთმეტ ორგანიზაციაზე: თბილისის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრი, თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრი, რუსული სახელმწიფო თეატრი, საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი, ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობების მუზეუმი, კავკასიის სახლი, და მეტ-ნაკლებად – რუსული კულტურის ცენტრი, უკრაინელთა ასოციაცია საქართველოში, და პერიოდული პრესა – “ვრასტან”, “გურჯისტან” და “სვაბოდნაია გრუზია”.

გაიზარდა ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაციების ისევე როგორც სხვა ორგანიზაციების დაფინანსება და 2009 წელს კულტურის სამინისტრომ შეიმუშავა “ეროვნული უმცირესობების კულტურათა პოპულარიზაციის პროგრამა საქართველოში,” რომლის ფარგლებშიც ფინანსდება ბევრი ახალი ინიციატივა.

- ბ. იმ ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია კულტურული და ხელოვნების დონისძიებების ხელმისაწვდომობასა და მიწოდებასთან, როგორც ამას აღიქვამს კულტურის დარგში მოღვაწე მცირერიცხოვანი, მაგრამ წარმომადგენლობითი ჯგუფი პროფესიონალებისა. ასეთი საკითხები შეიძლება მოიცავდეს: არასათანადო მიწოდებას, მაღალ ფასებს, ინტერესის ნაკლებობას, ცუდ მარკეტინგს, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავებას, პროგრამების არასათანადოდ შედგენას დონისძიებების ჩატარების ადგილას, დონისძიების დაწყებისათვის უხერხულ დროს და ა.შ).

აღნიშნული საკითხები საკმაოდ მნიშვნელოვანია ქართულ რეალობაში. ზოგადად ბილეთის/დასწრების ფასი ძალიან მაღალია. მარკეტინგის დონე საკმაოდ დაბალია. ზოგიერთი დონისძიება, რომელზე დასწრებაც უფასოა, მაგ. გამოფენის გახსნა, არ რეკლამირდება ფართოდ და ვერ წვდება მოსახლეობის “ნაკლებადინფორმირებულ” სეგმენტებს. ასე რომ კულტურულ დონისძიებათა უმეტესობას ესწრება უმეტესწილად მოსახლეობის ერთი და იგივე ჯგუფი. კულტურულ დონისძიებებზე დასწრების თვალსაზრისით არსებობს დიდი სხვაობა იმ მოსახლეობას შორის, რომელიც ცხოვრობს თბილისის ცენტრში და გარე უბნებში მაცხოვრებლებს შორის, რადგან კულტურის ცენტრები ძირითადად განლაგებულია ცენტრში.

3.4.2. განათლება

- ა. სახელოვნებო განათლების ძირითად სასკოლო კურიკულუმში არსებობის მაგალითი

ეროვნულ სასწავლო პროგრამაში შედის ვიზუალური და გამოყენებითი ხელოვნების კომპონენტები როგორც ძირითადი კურიკულუმის ნაწილი, მოყოლებული 1-დან მე-12 კლასის ჩათვლით. 1-დან მე-7 კლასის ჩათვლით ვიზუალური და გამოყენებითი ხელოვნებისადმი გამოყოფილი საათების რაოდენობა არის 2 საათი კვირაში. მეცხრე და მეათე კლასებში მათ ეთმობა 1.5 საათი კვირაში, ხოლო მომდევნო კლასებში ისინი უკვე არჩევითი საგნებია. პირველიდან მეშვიდე კლასამდე ტარდება მუსიკის გაკვეთილები - ორი საათი კვირაში, მეოთხე კლასში, ცეკვა – 1 საათი კვირაში, მაშინ როცა მერვე და მეცხრე კლასებში მუსიკას ეთმობა 1.5 საათი კვირაში.

ეროვნული სასწავლო პროგრამა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ არჩევით საგნებს მე-10, მე-11 და მე-12 კლასებში – თეატრი – თეორია, კინო – თეორია და პრაქტიკა, მსოფლიო კულტურა, კომპიუტერული მუსიკის პროგრამები, ვიზუალური და გამოყენებითი ხელოვნება – პრაქტიკა და თეორია, ფოლკლორი და მითოლოგია, მე-19 და მე-20 საუკუნეების დასავლური ლიტერატურა და ხელოვნების ისტორია.

ბ. ტიპური სკოლის კონტექსტში არსებული ნებისმიერი ხელოვნებასთან დაკავშირებული საქმიანობის მაგალითი

იხ. პუნქტი ა, ზემოთ.

3.5. მონაწილეობა და აუდიტორიის მოზიდვა

3.5.1. სტატისტიკა მონაწილეობაზე

ა. რაიმე ტიპის ხელოვნებისა თუ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებული სტატისტიკა, კინოსა და თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრებისა თუ კულტურის კლუბების რაოდენობა, და სხვ.

სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს www.geostat.ge აქვს ძალიან ცოტა მონაცემი კულტურასა და ხელოვნებაზე.

მუზეუმებთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 2005 წელს საქართველოს ყველა მუზეუმში მონაწილეობა 301 100-მა ადამიანმა, ხოლო 2010 წელს ეს ციფრი გაიზარდა 730 100-მდე. გიდის (ექსკურსია-მძღოლის) მიერ ჩატარებული ტურების რაოდენობა 2005 წელს იყო 11. 837, ხოლო 2010 წელს ეს ციფრი გაიზარდა 27 336-მდე.

რაც შეეხება თეატრალურ სპექტაკლებზე დასწრებას, მთლიანი აუდიტორია პროფესიონალურ თეატრებში საქართველოს მასშტაბით 2005 წელს იყო 256 000, მაშინ როცა 2010 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 359 900-მდე. 2009 წლის მაჩვენებელი იყო 468 600. აუდიტორიის საშუალო მაჩვენებელი ყოველ წარმოდგენაზე იყო: 2005 –112; 2007 – 127; და 2010 – 112.

2007 წელს თბილისში გაიმართა 2 152 თეატრალური წარმოდგენა. 2010 წელს სპექტაკლების რაოდენობა იყო 2067. თბილისთან შედარებით, საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, იმერეთში, წარმოდგენების რაოდენობა 2007 წელს იყო 469, და 2010 წელს – 410.

თვითონ ღონისძიებების ორგანიზატორებიც კი არ ატარებენ აუდიტორიების ანალიზს, როგორც მაგ. დამსწრეთა პროფილები, დასწრების რაოდენობა და ა.შ. ზედაპირული დაკვირვებით, ერთი შეხედვით შესაძინეია, რომ ხალხი რომელიც ესწრება კულტურულ მოვლენებს, როგორც მაგ. ოპერისა და ბალეტის წარმოდგენებს, კონსერვატორიაში ჩატარებულ დიდ კონცერტებს, მოდების ჩვენებას, უცხოელი მუსიკოსების კონცერტებს, ჯაზ ფესტივალებს და სხვა, არის ერთი და იგივე ჯგუფი რომელსაც აინტერესებს კულტურა და ხელოვნება, რომელსაც ხელი მიუწვდება ბილეთების ფასებზე და რომლებსაც ორგანიზატორები ეპატიუებიან. თუმცა ადგილი აქვს აგრეთვე მუსიკალური სასწავლებლების სტუდენტების ფართო აუდიტორიასაც ოპერისა და კლასიკური მუსიკის კონცერტებზე, რადგან მათთვის დასწრება უფასოა.

ბ. მონაწილეობასთან დაკავშირებული ტენდენციების მაგალითები ან მტკიცებულებები მაგ. კულტურის სექტორში სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრების და მონაწილეობის შესაძინევი მატება ან კლება.

სტატისტიკური ინფორმაცია გვიჩვენებს რომ თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრება შემცირდა, ხოლო მუზეუმის დამთვალიერებელთა რაოდენობა გაიზარდა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე. სხვადასხვა ფესტივალები, როგორც მაგ. კლასიკური მუსიკის ფესტივალები, თეატრალური ფესტივალები, ბათუმის კინო ფესტივალი, ქართული მოდების კვირეული და ა.შ. კვლავაც პოპულარობით სარგებლობს და ცნობილი მოვლენებია და მათზე დასწრება სტაბილურად მაღალია.

3.5.2. აუდიტორიის მოზიდვა

აუდიტორიის შექმნისა და ხალხის აქტიური მოზიდვის პროგრამების სტატისტიკა ან მაგალითები, მაგ. როგორც თეატრების, მუზეუმების, ფესტივალების და სხვ. ძირითადი საქმიანობის ნაწილი და აგრეთვე გარკვეული წარმოდგენა იმაზე თუ რამდენად განვითარებულია ასეთი აქტივობა.

კულტურული დაწესებულებებისათვის აუდიტორიის მოზიდვა როგორც წესი არ არის მაღალპრიორიტეტული. საქართველოს ეროვნული მუზეუმი ახორციელებს ცალკეულ აქტიურ

მოზიდვის პროგრამას ახალგაზრდებისა და ბავშვებისათვის, რომლის მეშვეობითაც ის ცდილობს უფრო მრავალფეროვანი დამთვალიერებლის მოყვანას მუზეუმში.

4. RMCBU-ს კვლევითი ვიზიტის ძირითადი შედეგები

2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, RMCBU-მ განახორციელა რიგი კვლევითი ვიზიტებისა აზერბაიჯანში, საქართველოში, ბელორუსში, მოლდავეთსა და უკრაინაში. ვიზიტების მიზანი იყო კონტაქტი დაემყარებინა პროგრამაში მონაწილე ძირითად მონაწილე მხარეებთან თითოეულ ქვეყანაში და წამოეწყო პროცესი კონკრეტული პოლიტიკის სფეროების იდენტიფიკაციისა მათი ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე გაძლიერების მიზნით. სავსე სამუშაოები შეიცავდა მრგვალი მაგიდის დისკუსიებს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან, შეხვედრებს კულტურის სფეროში მომქმედ წამყვან ადამიანებთან, პროგრამის პრეზენტაციებსა და ძირეული ინფორმაციის შეგროვებას კულტურის პოლიტიკის კუთხით საბაზისო კვლევების შემუშავების მიზნით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ვიზიტების შედეგებმა და შემდგომ ჩატარებულმა სამუშაომ შექმნა საფუძველი, რომლის მიხედვითაც შემუშავდა განაცხადები იდენტიფიცირებულ პრიორიტეტულ სფეროებზე მიმართული კვალიფიკაციის გაზრდის აქტივობებისათვის, რომელიც განხორციელდება RMCBU-ს მიერ 2015 წლის მარტამდე.

RMCBU-ს კვლევითი ვიზიტი საქართველოში განხორციელდა 2011 წლის ნოემბერში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელიც შედგებოდა ბ-ნი ლუჩიანო გლორის, ჯგუფის ლიდერი, ქ-ნი ტეტია ბილევცას, ორგანიზაციული განვითარების ექსპერტი, ქ-ნი ელენა პალიდოვას, ინფორმაციისა და კომუნიკაციის მენეჯერი და ქ-ნი ოქსანა მუჟინიუკისაგან, პროექტისა და მონიტორინგის ჯგუფის მენეჯერი.

ქვეყანაში ვიზიტისას მოეწყო შეხვედრები, დამყარდა კონტაქტები და ჩატარდა ინტერვიუები 40-ზე მეტ ადამიანთან, რომლებიც წარმოადგენდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის მთავარ ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებიდან, ქვეყანაში მყოფი ევროკავშირის დელეგაციიდან და საქართველოში აქტიურად მოღვაწე დონორი დაწესებულებებიდან.

ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოავლინეს დიდი ინტერესი აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის მიმართ. ადგილობრივმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ (MCMP) ყოველგვარი დახმარება გაუწია ვიზიტის მომზადებას. ევროკავშირის დელეგაციამ საქართველოში აგრეთვე გაუწია RMCBU-ს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა პროგრამით დაინტერესებულ მთავარ ეროვნულ მხარეებთან კონტაქტების დამყარებაში ხელშეწყობითა და მრგვალი მაგიდის დისკუსიებში მონაწილეობის კუთხით.

მრგვალი მაგიდის დისკუსია მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან, რომელიც იკვლევდა პოლიტიკის რეფორმებთან დაკავშირებულ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს და რომელიც გაიმართა თბილისში, გახდა ამ ვიზიტის მთავარი მოვლენა და მოიხიდა 30-ზე მეტი მონაწილე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (MCMP) მრგვალ მაგიდაზე წარმოდგენილი იყო საერთაშორისო პროგრამებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ქ-ნი ანა ასათიანის მიერ. ადგილობრივი დონის ხელისუფლება წარმოდგენილ იყო თბილისისა და გორის მუნიციპალიტეტებით. MCMP-მ ყურადღება გაამახვილა კულტურის სფეროში კვალიფიკაციის გაზრდის და ორგანიზაციული განვითარების აქტივობების მნიშვნელობაზე და გამოთქვა ინტერესი, გააგრძელოს თანამშრომლობა ევროკავშირთან, მათ შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ფარგლებში.

ევროკავშირის დელეგაციამ ქვეყანაში აღნიშნა EaP კულტურული პროგრამის მნიშვნელობა ადამიანებს შორის კონტაქტების დამყარების კუთხით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის და აქცენტი გააკეთა კულტურის როლზე სოციალური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ამ კონტექსტში, მოხსენიებულ იქნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები საქართველოში, კერძოდ ორი Twinning (თანამშრომლობის) პროექტი საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ეროვნული სააგენტოს დასახმარებლად (მზადდება) ისევე როგორც Art Gene ფესტივალი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით.

RMCBU-მ წარმოადგინა აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამა მათ შორის მისი მიზნები, ამოცანები და ძირითადი კომპონენტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო RMCBU-ს იმ ინსტრუმენტებისა და საშუალებების განმარტებას, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას პროექტის განხორციელებისას, მათ შორის:

- კვლევითი პროცესი და კულტურის პოლიტიკის შედარებითი კვლევისა და დიაგნოსტიკის აქტივობა;
- რეგიონალური გაძლიერების აქტივობები, კერძოდ კულტურის პოლიტიკის გაცვლითი სემინარები, რომლებიც ორგანიზებულ უნდა იქნეს RMCBU-ს მიერ 2014 წლის სექტემბრამდე პერიოდში;
- იმ პროექტების განხორციელების მხარდაჭერა, რომლებიც გრანტებს მიიღებენ EaP კულტურული პროგრამის ფარგლებში;
- კომუნიკაცია და კონტაქტები, ხილვადობის უზრუნველყოფა და პროგრამის შედეგების გავრცელება.

მონაწილეებს აგრეთვე გააცნეს, რომ არსებობს შესაძლებლობა ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღოს სპეციალური ტექნიკური დახმარება კულტურის პოლიტიკისა და სამართლებრივი რეფორმის საკითხებზე RMCBU-ს მოქმედების არეალის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ხელისუფლებისათვის ტექნიკური დახმარების ფარგლებში.

ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებს სთხოვეს გამოეთქვათ ინტერესი EaP კულტურული პროგრამის მრჩეველთა კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

საქართველოს კულტურის დარგის წარმომადგენლებმა თავის მხრივ ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები კულტურული ცვლილებისა და განვითარების ძირითად მახასიათებლებზე ქვეყანაში ბოლო სამი-ხუთი წლის განმავლობაში. ისინი შეეხენ მთელ რიგ საკითხებს, რომელთაგან ზოგი გაუმჯობესდა ან პირიქით გაუარესდა, მათ აგრეთვე განიხილეს კულტურის სექტორის ან ზოგიერთი მისი ქვე-სექტორის ახალი საზრუნავი საკითხები ეროვნულ ან ადგილობრივ (მუნიციპალურ) დონეზე.

საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაცია, რომელიც გავლენას ახდენს ეროვნული კულტურის პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემდგომ გაუმჯობესებასა და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებაზე, მიჩნეულ იქნა როგორც ხელშემწყობი ფაქტორი და კულტურის სფეროში პოზიტიური ცვლილებებისა და მოდერნიზაციის წინაპირობა. აღნიშნულ იქნა, რომ მზარდი პარტნიორული ურთიერთობები და კულტურული დიალოგი ყველა სექტორსა და მოთამაშეს შორის, მათ შორის პროექტთან დაკავშირებული აქტივობის საშუალებითა და სექტორებს-შორის და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით არის ძირითადი მამოძრავებელი ძალა ამჟამად.

ამავდროულად აღნიშნულ იქნა ნაკლებად პოზიტიური ასპექტები:

- ეფექტიანი კულტურული პოლიტიკის ნაკლებობა რომელიც დაფუძნებულია სტრატეგიული დაგეგმვისა და პროგნოზირების დემოკრატიულ ღირებულებებსა და მიდგომებზე და კონკრეტულად, გახსნილობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პრინციპებზე;
- საზოგადოებასა და კერძო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დაბალი დონე კულტურის დარგში და სხვადასხვა კულტურულ ორგანიზაციებსა და მოთამაშეებს შორის;
- ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების ნაკლებობა კულტურისსაჯარო დაწესებულებებში;
- მენეჯმენტისა და სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლებობა კულტურის სფეროს ყველა დონესა და დარგში;
- კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობაზე ცნობიერების დაბალი დონე საზოგადოებაში, მათ შორის ინფორმაციის ნაკლებობა არასამთავრობო ორგანიზაციებზე;
- პროფესიული განათლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამების მიერ ახალი მეთოდოლოგიების გამოყენების დაბალი დონე;
- კულტურის დარგში საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის განკუთვნილ დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის საკითხებში მკვეთრი განსხვავებანი;

- შემოქმედი ხელოვნებისა და კულტურის დარგში მოღვაწე არასამთავრობოების ნაკლებობა (ნახსენები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ).

აღნიშულ იქნა აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები და საფრთხეები:

- კულტურის მენეჯმენტის ცოდნის დონე და პერსონალის დაბალი პროფესიონალიზმი;
- საერთაშორისო თანამშრომლობისა და დარგებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დაბალი დონე, მათ შორის გამოცდილების გაცვლა, ურთიერთქმედება თემთან - რომელიც არის კულტურული მომსახურების მომხმარებელი - და ეროვნული კულტურის პოპულარიზაცია მსოფლიოში;
- ეროვნული განათლების სისტემის სუსტი ინტეგრაცია ევროპული განათლების სივრცეში;
- ხელისუფლებისა და საზოგადოების დაბალი ინტერესი კულტურის განვითარებაში.

კულტურის სამინისტრომ გამოთქვა ინტერესი, ხელოვნების საბჭოებთან და საზოგადოებრივ-კერძო ურთიერთობებთან დაკავშირებით საუკეთესო პოლიტიკის პრაქტიკაზე უფრო მეტი ინფორმაციის მიღებისა.

რაც შეეხება იმ საჭიროებებს, რომელსაც უნდა შეეხოს კულტურის კანონმდებლობა და კულტურის პოლიტიკა, კულტურული სექტორის მოდერნიზაციისა და პოზიტიური ცვლილებების განსახორციელებად, ეროვნულმა დაინტერესებულმა მხარეებმა ჩამოთვალეს შემდეგი საკითხები:

- კანონმდებლობის გაუმჯობესება ევროპული სტანდარტების საფუძველზე, განსაკუთრებით შემდეგ სფეროებში: სტრატეგიული მართვა, სპონსორობა და ქველმოქმედება, განათლება კულტურისა და ხელოვნების სექტორში, გადასახადები, სახელმწიფო შესყიდვები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები კულტურასთან დაკავშირებით;
- ეროვნული კულტურული პოლიტიკის გაუმჯობესება ადმინისტრირების დემოკრატიული პრინციპების შემოსაღებად და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის, კულტურის დარგის დეცენტრალიზაციისა და კულტურისა და მემკვიდრეობის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების უზრუნველსაყოფად;
- პროფესიული ტრენინგების პროგრამების მოდერნიზაცია და კულტურის სფეროში განათლების სისტემის შექმნა. ეს უნდა ეფუძნებოდეს ახალ დემოკრატიულ მიდგომებს მენეჯმენტის, მარკეტინგისა და სახსრების მოძიების ცოდნის გასაუმჯობესებლად და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემოსაღებად, ასევე დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად.

RMCBU-ს კვლევითი ვიზიტის შემდეგ, მრგვალი მაგიდის ყველა მონაწილეს და დაინტერესებულ მხარეს რომელიც ვიზიტის დროს შეხვდა ერთმანეთს სთხოვეს თავისი წვლილი შეეტანათ კულტურული პოლიტიკის SWOT ანალიზში, კითხვარების შევსებით *ონლაინ* რეჟიმში. დეტალური ინფორმაცია SWOT ანალიზზე მოცემულია ანგარიშის 1 დანართში.

უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად საქართველოსა და სხვა პარტნიორი ქვეყნების პრიორიტეტულ საჭიროებებზე კულტურის დარგში, ისევე როგორც პირობებზე რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებას, გაეცანით აგრეთვე *რეგიონალური კვლევის* ანგარიშს (სექცია 4: RMCBU კვლევითი ვიზიტის მიერ გაკეთებული ძირითადი დასკვნები, დანართი 3: ეროვნული დაინტერესებული მხარეების მიერ კულტურის პოლიტიკისა და პრიორიტეტული საჭიროებების SWOT ანალიზი).

წყარები

იხილეთ ანგარიშის ორიგინალური ტექსტი ინგლისურად ამ ინფორმაციისათვის.

დანართი 1. ეროვნული დაინტერესებული მხარეების მიერ საქართველოს კულტურის დარგისა და კულტურული პოლიტიკის პრიორიტეტული საჭიროებების SWOT ანალიზი

იხილეთ ანგარიშის ორიგინალური ტექსტი ინგლისურად ამ დანართისათვის.

დანართი 2. ისტორიული კონტექსტი – საქართველო ისტორიულ კონტექსტში¹

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ნაკლებად არიან ცნობილი და შედეგად ნაკლებად აღქმული ევროკავშირის ქვეყნებში, ვიდრე უნდა იყვნენ. მიუხედავად იმისა რომ, განსაკუთრებით კინოს, თეატრისა და პოლიფონიური მუსიკის საშუალებით, საქართველო საკმაოდ იყო წარმოდგენილი ევროპულ კულტურულ სცენაზე ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ქვეყნის კომპლექსურობა და მრავალფეროვნება ნაკლებადაა ცნობილი. ასეა მაშინაც, როცა ეს კომპლექსურობა და მრავალფეროვნება ხდება საერთაშორისო მედიის ყურადღების საგანი, როგორც ეს იყო 2008 წლის საქართველო რუსეთის ომის დროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო.

საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში შავი ზღვის პირას. იგი ესაზღვრება თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს და რუსეთის ფედერაციას და ითვლის დაახლოებით 4 300 000 მაცხოვრებელს. საქართველო ძირითადად არის მთიანი ქვეყანა დიდი კავკასიონის ქედით ჩრდილოეთით, მცირე კავკასიონით სამხრეთით, მაღლობი მდებარეობს აღმოსავლეთით და კოლხეთის დაბლობით დასავლეთით. დასავლეთი საქართველო (რომელიც შედგება იმერეთის, სამეგრელოს და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისაგან) ხასიათდება ტენიანი, ხმელთაშუა-ზღვისპირეთისათვის დამახასიათებელი კლიმატით და სუბტროპიკული ვეგეტაციით. აღმოსავლეთ საქართველო (რომელიც შედგება კახეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკისაგან) ხასიათდება მშრალი კონტინენტალური კლიმატით.

თბილისის გარდა მნიშვნელოვანი ქალაქებია ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, რუსთავი, ფოთი და თელავი.

ქართველები, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას და შეადგენენ მოსახლეობის დაახლოებით 70-75 %-ს (თუმცა სამოქალაქო ომის, იძულებითი გადაადგილებისა და ემიგრაციის გამო ეს არის მხოლოდ სავარაუდო ციფრი მოსახლეობის ბოლო აღწერის მონაცემების გარეშე) წარმოადგენენ ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ჯგუფს (მაგ. ქართული, ლაზური, სვანური და მეგრული) თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები მათ შორის ვინც ცხოვრობს საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ და ისტორიულ კუთხეებში. სხვადასხვა ჯგუფები ხშირად ჯერ კიდევ იყენებენ თავიანთ ისტორიულ სახელებს, რომელთა შორის ზოგიერთი ანტიკური ხანიდან მოდის.

ქართველები ძირითადად მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან და ქრისტიანობა საქართველოში შემოვიდა ადრეული ხანიდან².

აქვე ცხოვრობს სუნიტ მუსლიმთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, კონკრეტულად აჭარლები, რომლებიც წარმოადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმცირესობას. საზღვარს გადაღმა, თურქეთში, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მქონე ტერიტორიებზე, ცხოვრობს ისტორიულად ასიმილირებული (მუსულმანი) ქართველების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ქართველთა დიდი რაოდენობა აგრეთვე ცხოვრობს და მუშაობს საზღვარგარეთ, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში.

ქართული ანბანი, ერთ-ერთი მსოფლიოში დღეს არსებულ 14 ანბანთაგან, შეიქმნა ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე-მეოთხე საუკუნეების მიჯნაზე. პირველი წერილობითი ლიტერატურული ძეგლი თარიღდება მე-5 საუკუნით.

ისტორია, ტრადიცია და მითები ჯერაც ის მძლავრი საშუალებებია, რომლებიც აყალიბებენ კულტურულ და პოლიტიკურ ძალებს სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში. ეს ხელს უწყობს თვითმყოფადობის და უწყვეტობის ძლიერ და რომანტიკულ გაგებას, ისევე როგორც

¹ ეს სექცია გახლავთ ისტორიული მიმოხილვა მათთვის ვინც არ იცნობს საქართველოს და მის ისტორიულ განვითარებას. იგი დაწერა ტერი სანდელმა მის მიერ წინათ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით.

² ამ კონტექსტში საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქრისტეს ორი მოციქული დამარხულია საქართველოში, კერძოდ აჭარასა და აფხაზეთში და რომ ქრისტეს კვართი ჩამოტანილ იქნა მცხეთაში, საქართველოს უძველეს დედაქალაქში, ებრაელის მიერ სახელად ელიოზი, რაც მთავრდება იმაზე თუ რა ადრე შემოვიდა ქრისტიანობა აქ. ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქცა ჩვენი წელთაღრიცხვის 337 წლიდან.

”ეროვნულობის” განსაკუთრებულ ხედვას. სად იწყება ისტორია და სად თავდება მითი ხანდახან გაუგებარია. ისტორიული კონტექსტი ხშირად შუქს ფენს საქართველოსთან დაკავშირებულ ზოგიერთ თანამედროვე საკითხს და ქართველებიც იყენებენ ამას, თუმცა სამხრეთ კავკასიაში ბევრი კონფლიქტის წარმოშობის მიზეზია რეგიონის ისტორიის განსხვავებული ინტერპრეტაციები მათ მხრივ ვინც იქ ცხოვრობს. ეს ნათლად შეინიშნება მაგ. აფხაზეთთან კონფლიქტის საკითხში, თუმცა ამისათვის შესაძლებელია არსებობდეს სხვა მნიშვნელოვანი მიზეზებიც ამ საბჭოთა პერიოდიდან შემკვიდრებულ მიღებულ ”გაყინულ ომში”.

თავის ადრეულ ისტორიაში საქართველოს ჰქონდა მნიშვნელოვანი კავშირები და კულტურული ურთიერთობა შუმერებთან და ურარტუელებთან, აქემენიდურ და სასანურ ირანთან, ანტიკურ საბერძნეთთან და რომაულ ელინისტურ სამყაროსთან. ანტიკურ ეპოქაში, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიასა და უბველესი ბერძნული ცივილიზაციის რეგიონებსა და ქალაქებს შორის იყო საკმაოდ ინტენსიური³.

არგონავტებიდან მოყოლებული კოლხეთში (დასავლეთი საქართველო) ხშირი იყო შემოსევები; დამპყრობლებს იზიდავდა ოქროს საწმისის სამშობლო, მედეა და კულტივირებული ღვინის სამშობლო.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 და მე-3 საუკუნეების გასაყარზე შეიქმნა იბერიის სამეფო დღევანდელი საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნეში ბერძნული გავლენა შეცვალა რომაულმა, რომელიც იმ დროს აღმოსავლეთისაკენ ფართოვდებოდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 65 წელს რომაელებმა პომპეუსის მეთაურობით აიძულეს იბერიელები გამხდარიყვნენ მათი მოკავშირეები და გამხდარიყვნენ ბასტიონი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისეთების როგორებიც იყვნენ ჰუნები და ალანები, რომლებიც ჩრდილო კავკასიიდან მოდიოდნენ.

უკვე არსებობდა ორი სახელმწიფო, იბერია და ეგრისი (დღევანდელი სვანეთი) როდესაც ქრისტიანობა გახდა ოფიციალური რელიგია ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში. ამ დროისათვის სპარსული გავლენა ასევე ძლიერი იყო რეგიონში. მე-5 საუკუნეში საქართველოს დედაქალაქი გადმოტანილ იქნა მცხეთიდან თბილისში. ამასობაში, მე-5, მე-6 საუკუნეებში, დასავლეთი სამეფო ეგრისი ებრძოდა სპარსულ და ბიზანტიელ დამპყრობლებს.

მე-7 საუკუნეში მუსულმანი არაბები შემოიჭრნენ საქართველოში და მე-8 საუკუნისათვის თბილისში დაარსდა არაბული საემირო. არაბები და შემდეგ თურქ-სელჯუკები მართავდნენ აღმოსავლეთ საქართველოს 1122 წლამდე.

მე-10 საუკუნის ბოლოს, დასავლეთმა და სამხრეთ დასავლეთმა ნაწილებმა ჩამოაყალიბეს გაერთიანებული სამეფო, რომლის დედაქალაქიც იყო ქუთაისი და რომელსაც მართავდა მეფე ბაგრატ III, რომელიც ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვით იყო ებრაელი მეფეების, სოლომონისა და დავითის შთამომავალი. ეს სახელმწიფო მომძლავრდა ეკონომიკურად და კულტურულად და გახდა ექსპანსიონისტური სანამ მე-11 საუკუნეში ქვეყანაში არ შემოიჭრა ახალი დამპყრობელი, სელჯუკი-თურქები, რომლებმაც დაიპყრეს აღმოსავლეთი და დაარბიეს დასავლეთი.

1089 წელს, თექვსმეტი წლის დავით აღმაშენებელი (1089-1125) აკურთხეს მეფედ. მან თავი მოუყარა ძალაუფლებას და გაატარა მნიშვნელოვანი ინიციატივები და რეფორმები. 1121 წელს მან დაამარცხა (გარკვეულწილად ჯვაროსნების დახმარებითაც) თურქ-სელჯუკთა არმია და შემდეგ წელს თბილისის განთავისუფლების შემდეგ ქუთაისიდან დედაქალაქი გადაიტანა იქ⁴. ქართული კულტურა, სამხედრო წარმატებები და ექსპანსია გრძელდებოდა, განსაკუთრებით თამარ მეფის (1184-1219) დროს, როცა საქართველო გადაჭიმულ იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ჩრდილო კავკასიიდან სომხეთამდე.

დღესაც კი ქართველები სასოებით უყურებენ ამ ”ოქროს ხანას” და მათ წარმოდგენაში ეს

³ ალბათ ეს ხსნის პარალელური მითების არსებობას პრომეთეზე, რომელიც მიჯაჭვული იყო კავკასიის მთებს და ლეგენდას ქართველ ამირანზე.

⁴ ეს იყო ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობისათვის მნიშვნელოვანი პერიოდი, როდესაც აშენდა მაგალითად გელათის ტაძარი ქუთაისში, რომელიც ახლა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. გელათი და მისი აკადემია იყო მნიშვნელოვანი რელიგიური და საგანმანათლებლო კერა.

პერიოდი გაიგივებულია თანამედროვე საქართველოს კულტურასა და თვითმყოფადობასთან. შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" რომელიც მიჩნეულია ქართული ლიტერატურის ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებად, დაიწერა ამ პერიოდში.

ახალი შემოსევები დაიწყო მე-13 საუკუნეში, მონღოლების სახით, რომლებიც ასი წლის განმავლობაში ბატონობდნენ. მონღოლთა იმპერიის შემკვიდრემ, თემურ ლენგმა, მე-14 საუკუნეში მოუტანა მასშტაბური განადგურება რეგიონს. ოტომანთა გაძლიერებამ და კონსტანტინოპოლის დაცემამ კიდევ უფრო გაართულა ვითარება და ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა სამი სამეფო (იბერია, იმერეთი, კახეთი), რომლებსაც მართავდნენ ბაგრატიონის დინასტიის სხვადასხვა შტოები, პლიუს ერთი სამთავრო (სამცხე).

მე-16 საუკუნიდან სპარსეთმა და ოსმალეთმა დაინაწილეს საქართველო. რეგიონში იღო რუსეთის იმპერიალისტური ზრახვებიც, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა მე-18 საუკუნეში პირველი რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1768-1794).

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლ-კახეთის მბრძანებელი, მეფე ერეკლე II (1744-1798) და მეფე სოლომონი (1752-1784), იმერეთის მმართველი, თავიანთი სამეფოების დასაცავად შევიდნენ ერთმანეთთან კავშირში და გახდნენ რუსეთის მოკავშირეები რუსეთ-თურქეთის ომში. ზოგიერთი ისტორიკოსის მეხედვით მეფე ერეკლე II-მ სცადა მიეღო დახმარება ევროპული სახელმწიფოებისაგან, მაგრამ ეს არ გამოუვიდა და 1783 წელს მისმა ქართლ-კახეთის სამეფომ დადო ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასთან. ამ ხელშეკრულებით, იმის სანაცვლოდ რომ მეფე ერეკლე II მიიღებდა რუსეთის პროტექტორატს მისი სამეფოს მტრებისაგან დასაცავად და ექნებოდა ავტონომია შიდა საქმეებში, მას ევალებოდა რუსეთისათვის სასურველი პოლიტიკის გატარება საგარეო საქმეებში. თუმცა 1795 წელს აღთქმული დახმარება რუსეთიდან არ გამოჩნდა როცა მუსულმანთა არმია ალა მაჰმად ხანის მეთაურობით შემოიჭრა თბილისში და სერიოზული დამარცხება მიაყენა მეფე ერეკლეს.

საბოლოოდ რუსეთმა 1801 წელს მოახდინა ქართლ-კახეთის ანექსია და დღევანდელი საქართველოს ეს ნაწილები გახდა რუსეთის იმპერიის ნაწილი.

1828-1829 და 1877-1878 რუსეთ-თურქეთის ომების დროს რუსეთმა თავისი ექსპანსიონისტური მისწრაფებებით შემოიერთა დამატებითი ტერიტორიები, მათ შორის სამცხე და სხვა ტერიტორიები (1829), აჭარა (1878). ასე დაიწყო თანამედროვე საქართველოს ფორმირება. მეცხრამეტე საუკუნეში ცარისტულმა რუსეთმა გააძლიერა თავისი გავლენა რეგიონზე მათ შორის ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შემოღებით, როდესაც რუსული ენა გადაიქცა განათლების მიღების მთავარ საშუალებად. ქართული ეროვნული სულიკვეთება გაძლიერდა მე-19 საუკუნეში როცა ყურადღების ცენტრში მოექცა ენისა და ლიტერატურის საკითხები.

1917 წელს რუსეთის იმპერიის დაცემამ და ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების მითვისებამ დასაბამი მისცა სათუთ წარმონაქმნს, დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, ამიერკავკასიის ფედერაციას. 1918 წელს ეს ფედერაცია დაიშალა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკებად. დამოუკიდებელი საქართველოს, რომელსაც ძირითადად მართავდნენ მენშევიკები, არსებობა დასრულდა საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს მთელი რეგიონის ანექსიით. ამას მოჰყვა 1922 წელს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა რომელიც იმავე წელს გახდა საბჭოთა კავშირის შემადგენელი რესპუბლიკა. 1936 წელს ეს რესპუბლიკა გაუქმდა და საქართველო, ისევე როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი, ინდივიდუალურად გახდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა.

საქართველოს ჰქონდა მეტი გავლენა და დამოუკიდებლობა, ქვეყნის ზომასთან შეფარდებით, საბჭოთა კავშირში ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს. არაერთი საბჭოთა ლიდერი, მათ შორის სტალინი, წარმომავლობით იყვნენ ქართველები. რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია, მოშორებულნი იყვნენ რა ცენტრს და ამოძრავებდათ რა დამოუკიდებლობისა და ნაციონალისტური განწყობილებანი, განსაკუთრებით ენის თვალსაზრისით, ქართველებმა შეიქმნეს რეპუტაცია როგორც ხალხმა რომლებიც მოქნილად "მანიპულირებდა სისტემით" და არ ემორჩილებოდა საბჭოთა წესებს.

საბჭოთა პერიოდის ეკონომიკურმა, ადმინისტრაციულმა, დემოგრაფიულმა და სოციალურმა ინჟინერიამ ერთდროულად ჩამოაყალიბა და დაამახინჯა თანამედროვე საქართველოს რეალობა და დამოუკიდებლობის პირველი ორი ათწლეული ხშირად მტკივნეული იყო შემკვიდრებით მიღებულ შედეგებთან გამკლავების კუთხით.

ქართული კულტურა, ქართული ენა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ისტორიის მანძილზე ქართველებისათვის იყო ძალიან ძლიერი გამაერთიანებელი ძალა და დღესაც რჩება უდიდესი გაველენის მქონედ როგორც პოლიტიკაზე, აგრეთვე იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ხალხს აქვს ერთმანეთთან, საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან და გარე სამყაროსთან.